

708

1999 №4

13  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



მ  
ე  
ბ  
წ  
ო  
ს

# მემორიარი

თბილისი

მთავარი რედაქტორი ირაკლი ციციშვილი

სარედაქციო კოლეგია: ანდრია ავაქიძე  
მანა ასანიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)  
ვახტანგ ბერიძე  
მალაქია დვალი  
პარმენ ზაქარაია  
მარიამ ლორთქიფანიძე  
ოთარ ლორთქიფანიძე  
დავით ლომიტაშვილი  
გივი პაპალაშვილი  
ვახტანგ შამილაძე

ჟურნალი დაარსდა 1964 წელს

გარეკანზე - ნოქალაქევი ორმხრიეთაიანი კრამიკული ქანდაკების  
ფრაგმენტი (ირემი? ძეწ. VIII-VII სს. დ. ლომიტაშვილი)  
ფოტო: გ. ბუმბიაშვილის

ინგლისური ტექსტი მოამზადა მარინე ყწინამ  
დააკაბადონეს რამაზ კუჭაევამ და დავით კორვალიძემ

რედაქციის მისამართი თბილისი, შავთელის ქ. 5/7  
ტელ: 98 87 94  
93 36 18



საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ფონდი  
Georgian fund for protection of historical and cultural Monuments

# მეგლის მემორიარი

№4 (107)

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი  
ჟურნალი გამოდის საზოგადოებრივ საწესებზე

1999 წელი

3 უ ლ რ ც ა 3 0

85 წელი შეუსრულდა პარმენ ზაქარაიას - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს.

თითქმის სამოცი წელია ემსახურება პარმენ ზაქარაია ხელოვნების და კერძოდ ხუროთმოძღვრების ისტორიას, როგორც ცნობილია, ხუროთმოძღვრება



მრავალმხრივია. მასში საკულტო ხუროთმოძღვრების გარდა შედის ფორტიფიკაცია, საურო ნაგებობანი და სხვა. ამ ზღვა მასალიდან პარმენ ზაქარაია შეეჭიდა ქართულ ციხე-სიმაგრეებს, რაც მოითხოვს დიდი კოლექტივის ბევრთ შრომას, ერთი კაცისათვის კი წარმოუდგენელი ტვირთია. ციხე-სიმაგრეები ეს ხომ საქართველოს ისტორიაა, ჩვენი ერის ბრძოლის ისტორია დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ამ საპატიო საქმეს ბევრთად, დიხვად, მთელი ძალით ემსახურება პარმენ ზაქარაია. მან უკვე გამოსცა

ქართულ სასიმაგრე ნაგებობებზე მრავალი წიგნი ამის გარდა ის კითხულობს ლექციებს თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში, მუშაობს არქეოლოგიურ ექსპედიციებში, ძველების დაცვაზე, ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას და სხვა, რაც ბუნებრივია თან სდევს ასეთი მასშტაბის ადამიანის ცხოვრებას.

ციხე-სიმაგრეებზე მუშაობამ მოიყვანა პარმენ ზაქარაია გათხრების ჩატარების აუცილებლობამდე და მას მოუხდა მრავალ არქეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობა, ასეთებია: ურბნისი, ნადარბაზევი, გრემი, ნოსტე, ჭაქვიჩვი, და ბოლოს

21356

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ნოქალაქევი, ეს დიდი და ხანგრძლივი შრომა, რაც სჭირდება წლები და დრო ბეჯითობა. ეს ყველაფერი არის პარმენ ზაქარაიაში, იგი შრომისუნარიანი, სერიოზული, დინგი ადამიანია რომელიც სულ ეტებს სულ იბრძვის და მტრის იმედი

საგანგებოდ უნდა ვილაპარაკოთ პარმენ ზაქარაიას მოღვაწეობაზე ქართული კულტურის ძველთა დაცვა-პატრონობაზე ძველთა დაცვა ზენში სასურველ სიმძლევზე არასოდეს არ იდგა, თანდათან ხალხი მიხედა ძველთა მნიშვნელობას. მათ ღირებულებას ერის ისტორიაში. პარმენ ზაქარაია ძველთა დაცვის ყველა ღონისძიებათა მონაწილეა, რაც დაკავშირებული არის ძველთა დაცვის მთავარი სამართეულის და საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძველთა დაცვის საზოგადოების საქმიანობასთან.

უელოკათ პარმენ /ნაპო/ ზაქარაიას იუბილეს, ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, ბედნიერებას, გესურს მუდამ ვიხილოთ იმ განწყობილებაზე როგორც ამ სურათზეა.

ირაკლი სიციშვილი

**იღვასკალეთ ბაგონო ნაყო!**

*იღვასკალის ჩვენზე სპარტანელი, ქართლზე ქალბატონი, რომელსაც თაქლადებით და უბახი სიყვარულით უბახუარებით, კამდანი ნელია განდელი, კამდანი ბაქათ ბაქათაბული სამშობლოს სიძველეთა ქალბატონის, კხალბახადანისათვის, კოლბახისათვის, ყვალბათის ვისაც გვარდში უღვასკალეთ, მხან უკვალბათით, თქვენს სოფანს და აღმთანარ სითონს უზარკალად უნილადავით.*

*ღიღასანს, კიდევ ღიღასანს აღმთანიშონს თქვენი იუბილი,  
გვიყვარებათ და გვემეხებებით!*

ურნალ "ქველის მეგობრის" რედკოლეგია, მრჩეველთა საბჭო.

ნოქალაქევის სიღმშლოუბანი

მას შემდეგ რაც ხელოვნებათმცოდნეობაში მუშაობა დაიწყო და ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში აკად. გრუბინაშვილთან მოეხვედო, ექსპედიციები არ დამკლბია. ექსპედიციები მრავალფეროვანი გახლდათ. იყო რამდენიმედღიანი, ერთოიანი, ხუთოიანიც, რომლებიც თავისი ხასიათით, დანიშნულებით ერთმანეთისაგან განსხვავებულა. ეს ექსპედიციები მოძრავი იყო. მართალია, მანქანა ყოველთვის არ გვექმსახურებოდა, მაგრამ როცა იყო მაშინაც დაბინაება და საზრდოს შოვნა ყოველთვის ჭირდა. მოგეხსენებათ, სოფლებში არც სასტუმროა და არც სასადილო. მოკლედ, დილით გამოსულბმა არ ეიცოდით სადამოს თავშესაფარი გვექმნებოდა თუ არა. ეინ მთელის, განვილი პერიოდში რამდენი წაღება და უხერხული სიტუაციები ყოფილა! შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო არქეოლოგიურ ექსპედიციებში. ასეთ ექსპედიციებში ჩვეულებრივ სტაციონარია და ასე თუ ისე, რადაცნაირად ეწყობა ადამიანი. სხვა დრო იყო, საერთოდ ჭირდა ექსპედიციების გამართვა! ამის მიღწევა კი მხოლოდ თავდადებული შრომით იყო შესაძლებელი.

დიდახანს ვიმოგზაურე აღმოსავლეთ საქართველოში. ჯერ იყო შიდა ქართლი, შემდეგ კახეთი, მერე ქვემო ქართლი, სამხრეთ საქართველო და ა.შ. ექსპედიციებში შიგადაშიგ გაეროდა მოკლე ხნით დასავლეთ საქართველო, კერძოდ აფხაზეთი, სვანეთი და სხვა.

მაშინ მე ძირითადად ემუშაობდი აკად. ს.ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმში და 1963 წ. გაემართე, პირველად ჩვენს სინამდვილეში, საქართველოს ისტორიის მრავალფეროვანი გამოყენა (მან საზოგადოებაში მაღალი შეფასება დაიმსახურა). ამ გამოყენაზე ძირითადად წარმოდგენილი იყო აღმოსავლეთ საქართველო. საჭირო გახდა ამის შეესება. ამიტომ დაიგეგმა დასავლეთ საქართველოში დიდი მასშტაბის გათხრებით სამუშაოების ჩატარება. დასავლეთში გადასვლას კიდევ ერთი დიდი საფუძველი გააჩნდა. ეს იყო ი.წ. „ფუძის ყივილი“. მე ხომ სამეგრულოდან ვიყავი გამოსული და იქ მუშაობა და ცხოვრება მომიწინა! აღმოსავლეთისათვის მეტი მქონდა გაკეთებული, ვიდრე დასავლეთისათვის, უკეთ სამეგრულისათვის.

დასავლეთში ყველაზე საჭირო და თითქმის აუცილებელი გახლდათ ეგრისის (ლაზიკის) დედაქალაქის ნოქალაქევის გათხრა. მაგრამ ეს ძველი მეტად საპასუხისმგებლო, მრავალფეროვანი გახლდათ და პირდაპირ მისთვის შეტევა არ ეგებოდა. ამიტომ ვადაეწყვიტეთ შორიდან მოგველო. შევარჩიეთ კიდევ ორი, შედარებით პატარა ობიექტი. ასეთი გზა ბევრად მომგებიანი გახლდათ. პირველი ის იყო, რომ შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე მუშაობის პრაქტიკას გავივლიდით და მერე - გამოყენისათვის ბევრად მრავალფეროვანი მასალა შეგროვებოდა.

ასეც მოვიქციეთ. პირველ ძეგლად შევარჩიეთ მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ჭაქვიხჯი, რომელიც მდებარეობს ზუგდიდის ჩრდილოეთით მთებში. იგი მოქმედი იყო IV-XVIII საუკუნეებში. ციხე ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი გახლდათ ეგრისის სამეფოს დაცვის სისტემაში. [1]

ამ ძეგლზე ორი წელი ემუშავეთ (ორ-ორი თვე) და გასათხრელის ამოწურვის შემდეგ გადავიდით მერე ობიექტზე. ეს გახლდათ ჭაქვიხჯისაგან სრულიად განსხვავებული ძეგლი - რომაელთა ზიდანოსი, დღევანდელი გუდავა-გუდავა, რომელიც მდებარეობს გალის რაიონში, ზღვის ნაპირას.

სამწუხაროდ, ექსპედიციამ თურმე დიდი ხნით დაიგვიანა. ქალაქის ტიპის ეს სიმაგრე, პირველ საუკუნეებში რომაელთა გარნიზონის სადგომი ყოფილა. იმ დროს კოლხეთის სამეფოს ზღვის სახაპიროზე ისეთ პუნქტებში, როგორც

იყო გარნი, ფახისი (ფოთი) სებასტოპოლისი და პიტეუნტი (პიტეუნთა) მდგარა რომელთა გარნიზონი. ისტორიულ წყაროებში პირველად ხიდნეოსი იხსენიება III-IV საუკუნეთა მიჯნაზე. ბოლოს იგი მოხსენიებულია [ქსქსქსქს] ში. ამ დროს აქ ყოფილა ეგრისის სამეფოს ხუთი საეპისკოპოსოები - ერთი ერთად.

ხიდნეოსი (ძვ.ახევი) მდებარეობს იქ სადაც მდ. ოქეში ერთდენი ზღვას. მდინარე საკმაოდ დიდია და როგორც სხვა მდინარეები, რომელთაც ვრცელი დაბლობის გამოყლის შემდეგ ზღვაში შესვლა უჭირთ, სულ მოძრაობენ და აღვივს იცვლიან. მდ. ოქეშს სწორედ ამ მოძრაობის დროს ნაქალაქარი თითქმის წაუღია და ჩვენ ოთხი წლის გათხრების შემდეგ მცირე რამ დავიხვდა [2]. ოთხი წელი ამ ძველის გატხრას შევაღვიეთ.

ამ შიარის ძველების გათხრებზე ასე კარგად „გაწერონილებმა“ ვადავწყვიტეთ შევკვიდებოდით დასაჯელით საქართველოს დედაქალაქს, ნოქალაქებს. მაგრამ განზრახვა ერთი იყო და შესრულება მეორე. ეს ასე ადვილი არ გამოდგა.

საქ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმშიდან მიღებული იქნა [3]. გათხრის ნებართვის დამადასტურებელი ვ.წ. „ლია ფურცელი“, მაგრამ გათხრებისათვის საჭირო თანხების გამოძებნა ძველი შეიქმნა. რადგან სხვა გზა არ იყო მცირე თანხით გაეუმჯსაურეთ 1973 წ. 1 ივლისს, ორი თვით.



სურ. 1 ნოქალაქი აღმოსავლეთის გაღვანი

ექსპედიციის შედეგები დიდადაა დამოკიდებული მაღალი დონის სპეციალისტებით დაკომპლექტებაზე. ჩვენი აზრით, ნოქალაქების ექსპედიცია ასეთი გახლდათ. მასში ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ - პროფესორები ნოდარ ლომოური და ვადიმ ლექეინაძე, დოცენტები - მზია იაშვილი და მერი ზამთარაძე და სხვები. ამ შეტად შეკრულმა კოლექტივმა, საერთო შეფასებით თავიანთი მოვალეობა და მიზანი, კარგად შეასრულეს.

ნაქალაქარის გათხრებმა პირველივე წელს, თუ შეიძლება ითქვას, „იყვია“. ისეთი აღმოჩენები იყო, რომ ცენტრალურმა თუ ირგვლივ მდებარე რაიონების გახუთებმა, ტელევიზიამ, რადიომ გააშუქა როგორც იშვიათობა და ხალხი მოჯარდა. ამ პუნქტში სამი მხრიდან მოდის გზა. ამ გზებზე ტრანსპორტის ტყეა არ იყო და მილიციას უხდებოდა მოწესრიგება. სენაკის რაიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რადგან ჩვენ მცირე თანხები გექონდა

ადგილობრივ მოსახლეობას მოზილიზაცია გაუკეთეს და ჩვენ მოხალისეები, ვ.წ. შუაგული, დღეში დაახლოებით 80-100 კაცი მოგვამატრეს. მათი დახმარებით შავ სამუშაოს (ბარდნარისა და ტუის გაწევა) უფასოდ ვასრულებდით, გათხრებზე კი დაქირავებულ მუშებს ფაქსად ვამუშავებდით. ჩამოვდით ჩვენ თბილისიდან და სხვა ცენტრებიდან კოლეგები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. მზახველთა სიმრავლე კოლეგებს ძალზე უკვირდით და როგორც იტყვიან „თეთრი შურით“ იხსებოდნენ.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ სენაკის რაიონის ხელმძღვანელები - ვახტანგ ესვანჯია, სოსო კარტოზია და რუზო ფაშულია. ესენი იყვნენ მაღალი დონის ინტელიგენტები და სამშობლოსათვის მოღვაწენი. ისინი დიდიდან საღამომდე თავს დავეტრიალებდნენ და ყოველმხრივ გვეხმარებოდნენ. ჩვენ მრავალჯერ აღვინიშნავს და ახლაც ვიტყვით, რომ ექსპედიციის მნიშვნელოვან მიღწევებში მათ შესამჩნევი წვლილი მიუძღვით.

მადლობა მათ!

სოქალაქეის გათხრებმა ასე სახელი რომ გაითქვა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამაც იყო ჩამოსვლა და თანხებიც თანდათან დაგვიმატეს. პოლოს, ოთხმოციან წლებში, გათხრებისა და რესტავრაციისათვის 300000 მან. გამოგვიყვებს, ასევე შტატიც გაგვიზარდეს. მაშინ აფიანილი ორი ახალგაზრდა, დავით ლომიჯაშვილი და ბესიკ ლორთქიფანიძე, დღეს შავი მონიფული სპეციალისტები გახლავან. გათხრების მომავალი მათ ხელშია.

სოქალაქევი, რადგან ვერისის (დასავლეთ საქართველოს) დედაქალაქი იყო, მასთან ერთად შესწავლილი უნდა ყოფილიყო ეს ვრცელი ტერიტორია, მაგრამ ამას ერთი ექსპედიცია ხომ ვერ შესძლებდა. ამიტომ ვიყენებდით სხვათა გათხრების შედეგებს, მაგრამ ესეც სულ რამდენიმე იყო.

ამთვან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს იმერეთის ტერიტორიაზე პროფ. ვახტანგ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ვარდციხის, შორაპნისა და სკანდას ნაქალაქარნაციხარებზე მომუშავე ექსპედიციის შედეგები. ამ მხარეში მეორე დიდი ობიექტი გახლავთ ძველი ქუთაისის გათხრები ბავრატის ტაძრის მიდამოებში, რომელიც არქეოლოგ პროფ. ო. ლანჩავას მეთაურობით ითხრება. ასევე დიდია აკადემიის წ.კ. დავით ხაზუკიშვილის გათხრების შედეგები აჭარაში მდებარე ციხისძირისა და გონიოს ციხეებზე. მნიშვნელოვანია აკადემიკოს ანდრია აფაქიძის და პროფესორ გურამ ლორთქიფანიძის გათხრების შედეგები აფხაზეთში მდებარე ნაქალაქარ ბიჭვინთის (პიტონურის) ტერიტორიაზე. სოქალაქევი რადგან კოლხეთის სამეფოს ერთერთი ცენტრიც იყო, დიდია ვანში აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ოთარ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით მოპოვებული მრავალფეროვანი მასალის მნიშვნელობაც.



სურ 2 მარცხნიდან მარჯვნივ პარმენ ზაქარია, აკადემიკოსი ხარაძე, სენაკის რაიკომის პირველი მდივანი ვახტანგ ესვანჯია და პროფ. ნოდარ ლომიჯია

ნოქალაქევის ხიდრმეში ჩაწვდომა ძნელია მისი „ქვეყნის“ შესწავლის გარეშე. ამიტომ გადავწყვიტეთ ნაქალაქარის ირგვლივ 15-20 კოლმეტრის რადიუსით საინტერესო ობიექტები გავვეთხარა. ექსპედიციამ ასეთებიდან არა ერთი შრავალმხრივ საინტერესო ძველი გათხარა, რითაც კარგად გამოჩნდა წარმოდგენა საგრძობლად გააფართოვა. ასეთ ძეგლებს აქვს მხოლოდ ერთი აბედათი (თხოვრისი), ნოჯიხევი, ნაჯახოვო, სეფეთი, შხები, ნოსიო, „საკალანდარაშეილი“ და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძეგლების შესწავლამ ექსპედიციას მასშტაბურობა აქარად შემატა.

ისტორიული წყაროებით და არქეოლოგთა მონაკვეთით დადგინდა, რომ ნოქალაქევის მიწაზე ცხოვრების კვალი ჩანს ძე.წ. VIII-VII საუკუნეებიდან, ხოლო III საუკუნის დასაწყისიდან ეს ადგილი დაკავშირებულია იბერიის მეფე ფარნავაზის სახელთან. მან მისცა ვინმე ქუჯის ვერისის ერისთავობა, მან კი აღაშენა ციხეგოჯი. ამ მომენტიდან ციხეგოჯი ხდება კოლხეთის სამეფოს ერთადერთი ცენტრი თუ არა, ერთერთი მაინც. მომდევნო სამი საუკუნე ციხეგოჯი მდიდარი და შრავალფეროვანი ქალაქია. ახ.წ. პირველ საუკუნეებში, რომის ექსპანსიის გამო, იგი სუსტდება, ხოლო ახლად გაძლიერება ხდება III-IV სს-თა მიჯნაზე. ამ დროს წარმოიქმნა ვერისის (ლაზიკის) სამეფო დედაქალაქით ციხეგოჯი-ნოქალაქეში. ქალაქმა იარსება VIII ს. 30-იან წლებამდე, როცა იგი დაანგრია არაბთა სარდალმა მურვან-ურუმ. შემდეგში, XVI-XVIII საუკუნეებში, ამ ქუჩებმა მცირე ხნით გამოცოცხლება განიცადა, როცა იგი გახდა დადიანთა ერთერთი უმცროსი შტოს რეზიდენცია.

ადგილობრივ თუ უცხოურ წყაროებში მითითებული არ არის თუ რა ერქვა, ან სად იყო კოლხეთისა და ვერისის სამეფოთა დედაქალაქები. თითქმის ორასი წელია შეკვლევალები ეძებენ თუ სადაა ბერძნულ წყაროებში კოლხეთის ცენტრი „აია“. ზოგს „აიად“ მიაჩნდა ნოქალაქევი, მაგრამ გათხრებმა იმ ექსპედიციის მასალები არ მოგვცა ასევე დაუდგენელი გახლდათ თუ სად იყო და რას წარმოადგენდა ბიზანტიელთა „არქეპოლისი“ (ბერძნულად „არქეო“ ძველს ნიშნავს, ხოლო „პოლისი“ ქალაქს). გათხრებით დადგინდა, რომ არქეპოლისიც ნოქალაქევიც ასევე გაიჭრა, რომ ქართულ მარტიანებში ნახსენები „სამზღუდე“ ნოქალაქევიცა. საბოლოოდ, დადგინდა, რომ „ციხეგოჯი“, „არქეპოლისი“, „სამზღუდე“, დღევანდელი ნოქალაქევი!

როგორც აღვნიშნეთ ნოქალაქევის გათხრების შედეგები სისტემატიურად შუქვებოდა ეურალ-გაზეთებში, ტელევიზიათა და რადიოთი. ექსპედიციის შედეგებისადმი მიძღვნილია რამდენიმე დიდი და პატარა წიგნი.

თანდათანობით ნოქალაქევი ისე გაითქვა სახელი, რომ მის ბაზაზე რესპუბლიკური თუ ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებები ტარდებოდა. ყველაზე შესამჩნევი გახლდათ აქ „ვერისობის“ დაფუძნება. როგორც მოგვხსენებთ, დიდი ხანია ტარდება „თბილისობის“ ზეიმი. მთავრობამ მოინდომა ასეთივე ზეიმი დასავლეთ საქართველოშიც გადაეხადათ. ამ მიზნით დაწესდა „ვერისობა“ რომელიც პირველად ნოქალაქეში გადაიხადეს 1988 წლის შემოდგომაზე. ზეიმი საოცარი სანახაო გახლდათ. დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონი მონაწილეობდა. სამწუხაროდ, ეს ზეიმი ვერ დაშეკიდრდა, რადგან მომდევნო წლებში ქვეყანაში იწყება „თავისუფლებისათვის“ ბრძოლა, აქედან გამომდინარე არაერთგვაროვანი შედეგებით, ქაოსით, სროლებით, ერთმანეთთან დაპირისპირებით.

სხვადასხვა წლებში რაიონში ისეთი ზეიმები, როგორიც იყო რესპუბლიკური მასშტაბის „მწერალთა დღე“, „თეატრის დღე“, „შალვაობა“ (მწერალი შალვა დადიანის დღე) და კიდევ ეინ მოთელის თუ რისი მომსწრე არ არის „ხანდაზმული“ ნოქალაქევი!

ამათ გარდა, კიდევ ერთი დიდებული დღე ახსოვს ნოქალაქევეს. ესაა ახალი „არგონავტების“ ჩამოსვლა. საქმე იმაში გახლდათ, რომ ინგლისელ მეკვლევარსა და მოგზაურს ტიმ სვეერინს გადაწყვიტული ჰქონდა თურმე მითითური არგონავტების გზა გაემოძებინა, რისთვისაც დაამზადებინა მათი

ნავის მსგავსი, მოძებნა მოხალისეები და ქველი გზა განვლო. ასეთი საინტერესო ვიპოვე მოადგა ფოსო, აქედან ზეიმმა გადაინაცვლა ნაქალაქარ ვანში, იქიდან კი სვენ მოგვადგინა. ნოქალაქემა მთელი დღე უმასპინძლა და დღის ბოლოს სენეთში გავუშვავებო. ნუნმა ნაქალაქარმა მოგზაურებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რაც ახახა ტიმ სევერინის წიგნშიც.

ამით გარდა, იხილა აღსანიშნავი, რომ ნოქალაქევის ექსპედიციამ ბევრი მეგობარი და პატივისცემული შეიძინა. ამ მრავალთაგან მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ. ესაა გივი ულიავა, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დამაარსებელი და უცვლელი დირექტორი. კაცი მოღვაწე და მოამაგე და მრავალფეროვანი განათლების მქონე, იგი მხარეთმცოდნეა სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. მას გამოცემული აქვს მარტვილზე და სამეგრელოზე ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ნარკვევები და მეგრულ-ქართული ლექსიკონი. მისგან კიდევ ბევრია მოსალოდნელი.

ჩვენ დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ თანხების გაზრდამ საშუალება მოგვცა არა მარტო გათხრები გვეწარმოებინა, არამედ დიდი მასშტაბით ჩაგვეტარებინა არქიტექტურული ძეგლების კონსერვაციო-რესტავრაცია. ამ საქმიანობამ ნაქალაქარი იშვიათი სანახავი გახადა. დღეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ნოქალაქეზე შთაბეჭდავი ნაქალაქარი არ არსებობს.

გული მწყდება, რომ ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ქვეყანაში „არეულობამ“ ნოქალაქეზე ძალიან ცუდად იმოქმედა. ჯერ იყო და ექსპედიციის მთელი ბაზა დანგრეულ და ყველაფერი დაიტაცეს, ხოლო ნაქალაქარის მუზეუმში ორჯერ გაძარცვეს. ექსპედიცია ბევრს ეცადა, მაგრამ სამართლდამცემმა ორგანოებმა არაფერი იღონეს და მნაშვეთა მოსაძებნად, სამწუხაროდ, ქვეყანას დაეკარგა მერტალ მნიშვნელოვანი ექსპონატები.

არეულობისა და უსახსრობის გამო, გათხრებიც დროებით შეწყდა.

ამ ბოლო წლებში მუშაობა მცირე მასშტაბით განახლდა და იმედია ექსპედიცია მალე ძველებურად ფრთებს გაშლის.



სურ. 3 ტიმ სევერინი ნოქალაქეში 1984წ. ტიმ სევერინი, ეასო მარტვილელი და პარმენ სუქარია

1. კ.ზაქარია, ჭაქვიჩი, თბ., 1980  
 2. კ.ზაქარია, ელექტინიძე, გუდავაში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, III, თბ., 1974, გვ. 139

3. აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ არქეოლოგიურ კომისიაში „ღია ფურცლის“ მიღება მცირედი დროით შეუონდა. თუმცე, ნოქალაქევის გათხრა სხვებსაც ნდომებით, მაგრამ ყველაფერი ნორმალურად დამთავრდა.

ნოქალაქეში-არქეოლოგისი და პარამხე ზამბეზუნი

გ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

მდ. ტეხურის ნაპირას, სოფ. ნოქალაქეში (სენაკის რაიონი) შემონახულია ძველი ნაქალაქარის გრანდიოზული ნანგრევები - მასიური თავდაცვითი გალანები მონუმენტური კოშკებით, რომელიც ტეხურის პირას იწეება. მისი კალთებს შეუყვება და მისი მწვერულზე გადაშლილ პლატოზე შემონახულ ასეთივე შთამბეჭდავ ნანგრევებს უერთდება და ე.წ. „ზედა ციხე“ არქოპოლისის ქნის: ამ ზედა ნაგებობებს შორიდანვე კარგად შესამჩნევს, ადგილობრივი მოსახლეობა „ჯიხას“ უწოდებს.

დღეს უკვე კარგად არის ცნობილი, რომ ეს ნანგრევები ეგრისის ანუ ლახის დედაქალაქს - არქოპოლისს (ძველ ქალაქს) ეკუთვნის, ხოლო წარმოიქმნა იგი ძე. წ. IV საუკუნის ბოლოს და საეარაუდოდ „ციხე-გოჯი“ ეწოდებოდა. არქოპოლისს საკმაოდ დაწერილებითა აღწერილი ბიზანტიურ წყაროებში (იმპერატორ იუსტინიანე, პროკოპი კესარიელი, ავასთა სქოლასტიკოსი, თოფანე ვამბაღმწერელი და სხვა), ნაჩვენებია მისი ძლიერება, მოუდგომლობა, თავდაცვითი სისტემის თავისებურებანი, არაერთგზის ამო მკვდლობა მტრისაგან აღებისა, მისი მნიშვნელობა ამ თავდაცვით სისტემაში, რომელიც რომის ნაპირებიდან ქართლის საზღვრებამდე ერცვლებოდა[1].

ბიზანტიურ წყაროებში არქოპოლისის ასეთი წარმოშენა ძალზე ადრეული ხანდან იქცევა მისდამი მკვლევართა ყურადღებას და მისი ლოკალიზაციაც საკმაო ხნის წინ მოხდა. კერძოდ XIX ს-ის 30-იან წლებში იგი შეეცადრებოდა არქეოლოგმა ფ. დიუბუა დე მონპერმ ნოქალაქეში შემონახულ ნაქალაქართან გააჩვენა და ამ იგივეობას იზიარებს ყველა მკვლევარი ამასთან ის გარემოება, რომ ნოქალაქეს ბიზანტიელები „ძველ ქალაქს“ უწოდებდნენ, აძლევდა მკვლევარებს საფუძველს ამ ქალაქის წარმოქმნა VI საუკუნეზე გაცილებით ადრე ევარაუდა და როგორც აღნიშნეთ, ძე. წ. III ს-ის ქართლის მეფის ფარნაჯაზის თანამედროვე ეგრისის ერისთავის ქუჯის რეზიდენციასთან „ციხე-გოჯთან“ გაეყვებინათ. ეს იგივეობაც ძირითადში გაზიარებულია მეცნიერთა მიერ[2].

არქოპოლისის დიდი მნიშვნელობა ბიზანტიურ ეპოქაში, რაც მთავარია ის შთამბეჭდავი ნაშთები უძველესი საფორტიფიკაციო, საყოფაცხოვრებო, საეკლესიო ნაგებობებისა, რომლებიც სოფ. ნოქალაქეშია შემონახული, ბუნებრივია კარგახანია იზიდავდა ამ ძველისადმი საეკლესიოსტა ყურადღებას და შემთხვევითი არ იყო, რომ ნოქალაქეში არქეოლოგიური გათხრები ჯერ კიდევ 30-იან წლებში ჩატარდა გერმანელი მეცნიერის ალფონს მარია შნაიდერის ხელმძღვანელობით. იე. ჯავახიშვილის გ. რუბინაშვილის და ს. ყაუხჩიშვილის ზედამხედველობით და ლევან მუსხელიშვილის თანამონაწილეობით.

ა.მ. შნაიდერის ხელმძღვანელობით ნოქალაქეში წარმოებული გათხრები ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა (1931 წ. თებერვლის დასაწყისამდე) და შემდგომ არც განახლებულა. ჩვენთვის ამ მუშაობის შედეგები მოკლე ანგარიშებიდან არის ცნობილი[3]. მოუხედავად გათხრების მცირე დროისა და შეზღუდული ხასიათისა, ზოგი საინტერესო დასკვნის გაკეთება უკვე მაშინ გახდა შესაძლებელი: რაც მთავარია, სატკო აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო ნოქალაქეის ნაქალაქარის იდენტურობა არქოპოლისთან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ა-მ. შნაიდერის ხელმძღვანელობით ჩატარებულ გათხრებამდე ნოქალაქეში ჩუბინაშიდმა საგანგებოდ შესწავლა ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში მდებარე "ორმოცხოწამთა" ეკლესია; მის მიერ გარკვეულ ვნახა, რომ თავდაპირველად ის იყო შედარებით მცირე სამხაიანი ბაზილიკა, ადრეული ქართული ბაზილიკებისათვის დამახასიათებელი თავისებურებით: გამოწეული ხუთწახნაგა აფსიდა განივი სარკმლებით, მკბად ეიწრო გვერდითი ნაგებობა და ა.შ[4]. ეს ძირითადში დადასტურდა შემდგომი გათხრების დროსაც. შნაიდერის შემდეგ მცირე მასშტაბის დახვერუთი გათხრები რამდენჯერმე ჩატარდა ნოქალაქეში ( ი. გრძელიშვილი, ე. ლექენაძე, გ. გროგოლიას ექსპედიციას, მაგრამ სისტემატიური გათხრები დაიწყო 1973 წელს.

1973 წ. არქეოპოლის-ნოქალაქეის არქეოლოგიური შესწავლა ითავა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პროფ. პარმენ ზაქარაიას მეთაურობით. ექსპედიცია მცირე ხარეუებით დღესაც მუშაობს და ამ წლების მანძილზე მას უცვლელად ხელმძღვანელობს ამჟამად უკვე მეცნიურებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პარმენ ზაქარაია.



ნაქალაქარის ქვედა ტრასა ჩრდილოეთიდან

შემთხვევითი არ იყო, რომ არქეოპოლისის გათხრებს სათავეში პ. ზაქარაია ჩაუდგა. არც ის, რომ ის ამ უძველეს, მრავალპროფილიან გათხრებს უძღვებო, არც ის, რომ შედეგები ამ მუშაობისა შთამბეჭდავი და მრავლისმთქმელია. ქართველ არქეოლოგთა მრავალირიცხოვან პლუდაში პარმენ ზაქარაიას, რომელსაც წელს 85 წელი შეუსრულდა, სამატიო ადგილი უჭირავს და მის სახელთან დაკავშირებულია სხვადასხვა დროის და ხასიათის ძეგლთა გათხრა-შესწავლაში მონაწილეობა ან შესწავლის ხელმძღვანელობა.

ცხვენს ვარუშუა, რომ ნოქალაქეის ექსპედიციას არ ეწებოდა არც ის მასშტაბები, არც ის მნიშვნელოვანი შედეგები, მას სათავეში პ. ზაქარაია რომ არ ყოილოდა თავისი დაუოკებელი ენერჯით, ფართო ცოდნით, მაღალი პროფესიონალიზმით, დიდი გამოცდილებით. პ. ზაქარაია უცვლელი მონაწილე იყო ძველი საქართველოს ერთ-

ერთი უძველესი ქალაქის ურბნისის შესწავლისა, მისი ხელმძღვანელობით არქეოლოგიურად გამოკვლეული იქნა გვიანფეოდალური კახეთის მნიშვნელოვანი ქალაქი ერეკლე, გათხრულ და რესტავირებულ იქნა გიორგი სააკაძეძე ქუჩაზე აღმოჩენილი ნოსტა იგი ხელმძღვანელობდა ციხე-სიმაგრე ჭაქვიანის, შუხუთის კრწანთაუბრის სამსახურის („ვილის“), გვიანანტიკურ - ადრეფეოდალური ნაქალაქარის ზიგანოს-გუდავას გათხრებს, მერამ კ. ზაქარია ცნობილი არა მარტო როგორც ცნობილი არქეოლოგი, არამედ როგორც წამყვანი ხელოვნებათმცოდნე მას აზომილი, აღწერილი და შესწავლილი აქვს საქართველოს არაერთი არტეკტურული ძეგლი, პირველ რიგში ციხე-სიმაგრეები. ამასთან იგი ფართო დიაპაზონის ხელოვნებათმცოდნეა, რომელიც არ იფარგლება მარტო თავისი ძირითადი სპეციალობით - ძველი ხუროთმოძღვრების შესწავლით. ის ნაყოფიერად მუშაობს ძველი და თანამედროვე ფერწერისა და ქანდაკების კვლევის საკითხებზე, მაგრამ განსაკუთრებით შედეგინადად, სისტემატიურად და გვეგმაზომიერად იკვლევს იგი ქართულ ხუროთმოძღვრებას და სრულიად კანონზომიერია ის ფუნდამენტური გამოკვლევებითომეცნიერება მას ამ დარგში ეკუთვნის, რომლითაც მან ქართული მეცნიერება გაამდიდრა მის მრავალრიცხოვან წიგნებიდან გამოყოფილი უკანასკნელ წლებში გამოსულ კაპიტალურ შრომებს-ქართული ცენტრალურგუმბათოვანი არტეკტურა“, სამტომეული, „საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები“ (თბ., 1988), განსაკუთრებით მონუმენტურ და მრავალმხრივ მნიშვნელოვან გამოკვლევებს „Сообщество Тао-Кларჯети“ (Тб, 1992), არ შეიძლება დაიწყება იმისაც, რომ კ. ზაქარიაას ძალისხმევით, ხელმძღვანელობდა და აქტიური მონაწილეობით გამოიქცა ნოქალაქევი - არქეოპოლისის გათხრების ამსახველი სამტომეული ნოქალაქევი - არქეოპოლისი“ (1981, 1987, 1993), მე-4 ტომი ამჟამად წარმოებაშია. ცალკე უნდა აღინიშნოს კ. ზაქარიაას კიდევ ერთი უდიდესი დამსახურება: სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ნოქალაქევი გათხრების პარალელურად საკონსერვაციო - სარესტავრაციო სამუშაოები და ბოლოს კ. ზაქარიაას დაარსებულა ნოქალაქევი არქეოლოგიური მუზეუმი, რომლის ექსპოზიცია არსებითად მის მიერ არის შექმნილი.

ნოქალაქევი ჩატარებულმა გათხრებმა არტეკტურულ ძეგლთა დიდი რაოდენობა და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა გამოაქვინეს, რაც მთავარია, სამეგრელოს ცენტრში დღეს ამჟამად აღიმართება საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უძლიერესი ქალაქის ძირითადში გამომწვეურებული, ნაწილობრივ რესტავირებული ნანგრევები, რომელიც საერთო შთაბეჭდილებას გვიქნის გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ქართულ ქალაქის როგორც გარეგნულ სახეზე, ისე მის აღნაგობაზე, საქალაქო ნაგებობათა ხასიათზე, გამაგრების სტრუქტურაზე, კონსტრუქციურ და კულტურულ ცხოვრებაზე.

ადრეფეოდალური ხანის ქალაქებზე ჩვენ აქამდე ძირითადად აღმოსავლურ ქართულ ნაქალაქარითა მიხედვით ვსჯელობდით, ხოლო დასავლეთ საქართველოს ქალაქებზე მეტად შწირი და ზედაპირული ცნობები გვგვანდა. ამჟამად ჩვენ ნოქალაქევის მაგალითზე შეგვიძლია კარგად წარმოვიდგინოთ, ძველი ციხე-გოჯი და საერთოდ ძველი ეგრისის ქალაქები. ამას დიდად შეუწყობს ხელი იმ გარემოებამ, რომ ნაქალაქარის ტერიტორია არ დაზარალებულა მერმინდელი ცხოვრებით და აქ მხოლოდ ცალკეული გვიანდელი ნაგებობები წარმოიქმნა. შემორჩენილ ნანგრევთა გათხრით, შესწავლილი და ნაწილობრივ რესტავრაციით შესაძლებელი გახდა მთლიანად აღდგენილიყო საფორტიფიკაციო სისტემის მთელი პარამეტრი და აღნაგობა.

აღსანიშნავია ნაქალაქარის მასშტაბები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოკულობათა და გრანდიოზულობით არქეოპოლისის ტოლი არ ჰყავს დასავლეთ საქართველოს ამ ეპოქის ქალაქებს შორის, რაც შეეხება მის საფორტიფიკაციულ ნაგებობებს. ისინი იმდენად მონუმენტური და გრანდიოზულია, რომ ქალაქი ანალოგი მხოუდებით მთელ საქართველოში ამასთან ის წამყვან როლს თამაშობს დასავლეთ საქართველოს ერთიან თავდაცვით სისტემაში, რომლის დადგენა და შესწავლა ისე და ისეე კ. ზაქარაიას დასახურებაა. არქეოლოგიურმა გათხრებმა ნოქალაქეში განსაზღვრეს და დააზუსტეს დასავლეთ საქართველოს ქალაქების განვითარების ცალკეული ეტაპები და უფრო სრულად წარმოადგინეს მათი ისტორია ელინისტური ეპოქიდან, უიძრე გვიანდელ შუასაუკუნეებამდე ხაზგასამდელია, რომ ნაქალაქარის ზღუდის გარეთ და თვით ნაქალაქარის ტერიტორიაზეც აღმოჩნდა ადრეული ხანის სამარხები, რაც აქ ქალაქის წინადროინდელი დასახლების არსებობაზე მოუთხოვს და საინტერესო მონაცემებს იძლევა ქალაქის საქალაქო ცხოვრების გენეზისისათვის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნოქალაქეცა და მის „ქვეყანაში“ საგლეხო ნაგებობათა გამოჩენა და შესწავლა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვით ნოქალაქეში, ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში V ს-ის შუა წლებით დათარიღებული სამხაიანი ბაზილიკის ნანგრეუთა აღმოჩენა. ეს თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან ასეთი ადრეული საგლეხო ნაგებობები დასავლეთ საქართველოში და საერთოდ საქართველოში იშვიათი ფაქტია. ამის გარდა ამ სამხაიანმა ბაზილიკამ დაადასტურა გ. რუბინაშვილის კონკეფცია უძველეს ქართულ ბაზილიკათა თავისებურებების შესახებ და ამ თავისებურებათა დასავლეთ საქართველოშიაც არსებობაზე მთავარი კიდევ ისაა, რომ სამხაიანი ბაზილიკის ქვეშ აღმოჩნდა უფრო ადრეული, IV ს-ის შუა ხანების დარბაზული გლეხის ნაშთები, რამაც შესაძლებელი გახადა დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკმაოდ ზუსტი დათარიღება სწორედ IV ს-ით. უდავოდ მნიშვნელოვანი იყო ნოქალაქეში სამეფო სასახლეცა და ორი აბანოს აღმოჩენა, რაც ქალაქის სოციალური სურათის წარმოდგენისთვის არის მნიშვნელოვანი.

კ. ზაქარაიას, ამ ფართო დიაპაზონის მკვლევარს, ცხადია ლოკალურად მარტო ნოქალაქეში გათხრები ვერ დააკმაყოფილებდა, რისი შედეგიც იყო ექსპედიციის მუშაობა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე ე.წ. „ნოქალაქეის ქვეყნის“ შესწავლა, როგორც სენაკის ასევე მარტვილის რაიონებში (აბედათში, კოტიანეთში, შხეფში, ნოჯიხეფში) გათხრილი იყო არაერთი საფორტიფიკაციო, საცხოვრებელი და საკულტო ძეგლი, რომელთა ნაწილი ექსპედიციის მიერ იყო აღმოჩენილი. ამ სამუშაოთა შედეგად „ნოქალაქეის ქვეყანა“ წარმოვიდგება დასავლეთ საქართველოს ინტეგრირად ათვისებულ და მჭიდროდ დასახლებულ მხარედ ამასთან ერთად, ეს სურათი უფრო აშკარას ხდის ციხელო-არქეოპოლისის მნიშვნელობას და როდის ქვეყნის არამარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

უფიქრობთ, თუნდაც მარტო ნოქალაქეის არქეოლოგიური ექსპედიციის მასშტაბური გამოკვლევები საკმარისი იქნებოდა საქართველოს წარსულის შესწავლაში, ქართული მეცნიერების განვითარებაში კ. ზაქარაიას უდიდესი წვლილის დასადასტურებლად.



1. არქეოპოლისის როლის შესახებ დასავლეთ საქართველოს (კერძოდ - ლაზიკის) ისტორიაში. იხ. კ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ე. ლექქიანიძე, გ. გვინჩიძე, ციხეგოჯი-ნოქალაქევი, თბ., 1984; ნ. ლომოური, ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი (ისტორიული ნარკვევი: „ნოქალაქევი-არქეოპოლისი, არქეოლოგიური გათხრები 1973-1977“, თბ., 1981; იგივე რუსულ ენაზე, იგივე კრებული, წ. III, არქეოლოგიური გათხრები 1983-1989, თბ., 1993.
2. ნ. ლომოური, ნოქალაქევისა და ციხეგოჯის იგივეობის თაობაზე, - „მნათობი“, 1979, №5, გვ. 151-160.
3. A. M. Schneider, Archaeopolis (Nokalakevi), - „Forschungen und Fortschritte“, Bd., VIII, N27, 1931, S. 354-356; ს. ყაუხჩიშვილი, ლექსები ბიზანტიის ისტორიიდან, თბ., 1948, დამატ.
4. Г. Н. Чубинашвили, К вопросу о Нокалакеви, - „Вопросы истории и искусства“, Тб., 1970, с. 93-103.
5. კ. ზაქარაია, თ. კამანაძე, ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბ., 1991.
6. Г. О. Гвинчидзе, Новооткрытый некрополь древней столицы Западной Грузии Цихе-годжи-Археополиса (экспрес-информация), Тб., 1978; ე. გვინჩიძე, ნოქალაქევის ქვევრსამარხები, - „მაცნე“, 1979, №2, გვ. 152-166. იხ. აგრეთვე კრებულში „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“ დ. ლომიჯაშვილის, ბ. ლორთქიფანიძის, მ. ზამთარაძის წერილები.
7. კ. ზაქარაია, ნოქალაქევი-არქეოპოლისის საიდუმლოებანი, - „საბჭოთა ხელოვნება“, 1980, №12; თ. კამანაძე, ნოქალაქევის ბაზილიკები, - „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, II, გვ. 90-125; შუად. კ. ზაქარაია, თ. კამანაძე, ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი, გვ. 165 და შემდგ. დავურ. ნ. ლომოური, Археополис-Цихегоджи-Нокалакеви, - „Нокалакеви-Археополис“, III, 1993, с. 142-143.
8. კ. ზაქარაია, თ. კამანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 126-164; 228-260; ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ. 144-146, აქვე მითითებები კ. ზაქარაიას სხვა ნაშრომებზე.

საღმრთო ტუ ძვირფასი ლიტონების სახინჯი ძველი

გეგმვა  
ნიკოლოზიძე

ნოქალაქეის ნაქალაქარის განათხარ მასალაში საკმაოდ მოგვეპოვება მოგრობო ოჯალური ან ოთხკუთხა ფორმის საღესი ქეები (№160, 1048, 3003 და სხე). მათი აღმოჩენის ტოპოგრაფია ნაქალაქარის ქეედა ტერასას მოიცავს, სადაც ჩვენს მიერ ძეწ. VIII-I სს-ის სამი სხვადასხვა ცხოვრებისეული პერიოდი ფიქსირდება. ჩვენს მიერ აღმოჩენილი საღესების ძირითადი რაოდენობა ნოქალაქეი I-ის ძეწ. VIII-VII სს-ით დათარიღებულ ფენებშია აღმოჩენილი.


რივის ქვისაგან დაშადებული საღესი ქეები ფართოდაა გავრცელებული არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, არამედ მის ფარგლებს გარეააც - ჩრდილოეთ კავკასიაში, სკითურ-სარმატულ სამყაროში და სხე ამიერკავკასიაში მათი გამოჩენის პირველი შემთხვევა ადრებრინჯაოს ხანას ემთხვევა (ოდხარის დოღმენი) [162; 257]. გვიანბრინჯაოს ხანის ჩათვლით მისი აღმოჩენის შემთხვევები ერთულებით შემოიფარგლება [162; 257]. კოლხეთში მისი რაოდენობა აშკარად მატულობს ადრეკონის ხანის ძეგლებზე [346]. ხოლო წინარე და ადრეანტიკური ხანის ძეგლებზე მათი აღმოჩენა მასობურ ხასიათს ატარებს. კოლხეთში თითქმის არ არსებობს ამ პერიოდის ისეთი ძეგლი, სადაც თავგახერტილი საღესი ქეა არ გამოვლენილიყოს. როგორც წესი საღესი ქეები თავიან გახერტილია. სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადია გაზარებული ის აზრი, რომ საღესი ქეები ქამარზე დასაკიდი ნიუთებია. ურეკის საღესი ქეების ერთ ვებმღლარზე ქამარზე ჩამოსაკიდებული კონის დეორცაა შერჩენილი [346]; თლის სამაროენის №93, 129 და 164-ე სამარხებში საღესი ქეებზე ბრინჯაოს ჯაჭვების ფრაგმენტებიცაა შემორჩენილი, რითაც, ცხადია, ქეები ქამარზე მაგრდებოდა [463].

ნოქალაქეის ნაქალაქარზე გამოვლენილი საღესები სხვადასხვა ჯიშის ქეებისაგანაა დაშადებული. ასევე სხვაობაა მის ფორმებშიც. გვაქვს როგორც ნაცროსფერი, რივის ქვისაგან დაშადებული ერთულები ასევე მუქი შავი ფერის ქვისა. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება რომ სხვადასხვა ადგილებში, ადგილობრივი ჯიშის ქვის გამოყენება ხდებოდა საღესებად [463]. ეფიქრობთ, ეს მოსაზრება ნაკლებ დამაჯერებელია, რადგან თითქმის ყველგან მხოლოდ ორი ჯიშის ნაცროსფერი და სპეციალური შავი ფერის ქვისაგან დაშადებული საღესები ფიქსირდება. იგივე მდგომარეობაა ნოქალაქეის ნაქალაქარზეც.

სამეცნიერო ლიტერატურაში დასმულია საკითხი ქვის ჯიშისა და ფორმების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. რიმდის მიხედვითაც ოჯალურგანიეკეთიანი, კიდევ შემორგეალებული საღესები ნაცროსფერი რივის ქვისაგანაა დაშადებული, მაშინ როცა, ბრტყელი სწორკუთხა საღესები უფრო ხშირად შავი ფერის ქვისაგან შადდებოდა [346]. უნდა აღინიშნოთ, რომ ამ უკანასკნელისაგან დაშადებული ვებმღლარები ხშირად კარგად დამუშაებული მრგვაღანიეკეთიანი დეოროიც ხასიათდებან.

დღეს გაზარებულია შეხედულება იმის თაობაზე, რომ რივის ქეებისაგან დაშადებული საღესები მამაკცთა სამარხული კომპლექსების კუთხნილი ინტერტარია [463; 346]. ძეწ. VII ს-დან ჩრდილოეთ კავკასიაში [5204] ისინი მიჩნეულია მამაკცთა სამარხების, განსაკუთრებით კი აკნაკიანი სამარხების

აუცილებელ ატრიბუტად ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია კასნოდაროვ მუხეუში დაკვლი სკითი შოშირის ქანდაკება, რომელსაც აკნაკან ერთად საღესოც თან ახლავს [6.287]. იგივე მომენტი ფიქსირდება პიატიგორსკის მუხეუში ქვის ფილაზეც [6.267]. როგორც ჩანს იგივე სიტუაციაა, იმავე პერიოდში ცენტრალურ ქედის სამხრეთი ფერდობის სინქრონულ ძეგლებზე სადაც საღესო ქვები ასევე მამაკაცთა სამარხეული კომპლექსების აუცილებელ კომპონენტებს წარმოადგენენ და აქ მათი გამოვლენა ჩვეულებრივი მოვლენაა. [4.63].




კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნების (ურეკი) შესწავლის შედეგად იგივე მოსაზრებას ეთანხმება პ-ნი თამიქელაძეც, რომელიც საღესებს ურეკის სამაროვანზე დაკრძალულ მამაკაცთა სამარხების კუთვნილ ინვენტარად მიიჩნევს [3.46]. იგივე მოვლენა დასტურდება მერხეულში, სადაც საღესები ისეთ სამარხებში იქნს თავს, სადაც რკინის სატყერებია დაფიქსირებული [1.63]. საღესი ქვების აღმოჩენის ფაქტები დადასტურებულია: პალურში, ნიგეზიანში, ბილიში, ჯრგეტის სამოვე სამაროვანზე, მუხურაში - ქვედა დასაკრძალავ მოედანზე, ნოსიოში [7.ტ.46], გუადიხუსა და წითელი შუქურის სამაროვნებზე, ფიორის ცენტრალური დიხა გუბების კულტურულ ფენაში, სადაც პერიოდებისდა მიხედვით ორი განსხვავებული ზომის საღესები გამოყოფა - II კულტურულ ფენაში შედარებით მოკლე (9 სმ-მდე) და IV-V ფენებში შედარებით გრძელტანიანი საღესები [8.85-86]. ზრდილოეთ კავკასიაში ცნობილ ნესტროვის სამაროვანზე, აღმ.საქართველოში ტახტიძის სამაროვანზე სამეცნიერო ლიტერატურაში სინტერესო შეხედულებებია გამოთქმული საღესი ქვების ფუნქციასთან დაკავშირებით. მკვლევართა ერთი, საკმაოდ დიდი ნაწილი ქვისაგან დაშვადებულ ამ ნაკეთობებს საღესებად მიიჩნევს [3.46; 1.63; 2.63; 4.63]. მეორე ნაწილი, იქიდან გამომდინარე, რომ ამ ქვებს ლესეის კვალი ნაკლებად აჩნდება, ისინი საკულტო დანიშნულების ნიეთებად მიანიათ [9.142]. ადრეანანური კულტურის ერთ-ერთი ელემენტი, შავი ფერის ქვისაგან დაშვადებულ ქამარზე ჩამოსაკიდი ნიეთები ახალიკოეს საღესებად არ მიანია. მისი აზრით, ამ ქვებს უფრო მეტად უტილიტარული ფუნქცია გააჩნდათ ისინი ქამარზე დასაკიდ საკებებს წარმოადგენენ [10.158-159].

თუ ჩვენ, ერთის მხრივ ევთანხმებით იმ აზრს, რომ ნაკრისფერი რეკას ქვისაგან დამზადებული ნაკეთობანი შესაძლოა მარილაც საღეს ქვებს წარმოადგენს, ვფიქრობთ, გასარკვევია შეი ფერის ქვისაგან დამზადებული ე.წ. საღესქვის უფუქტიონალური დანიშნულების საკითხი ამ თვალსაზრისით ძალზედ საინტერესოდ გვეჩვენება ვინაშე 1969 წ-ს გათხრულ წარჩინებული კლბი მკობრის №9 სამარხში აღმოჩენილი შეი ფერის მრგვალგანბეკვითანი, ოქროს გარსაკრავიანი საღესის გამოჩენა რომელმაც ერთგვარად დაარღვია შეხედულება თითქოს მსგავსი ნივთები მხოლოდ სკეითურ-სარმატული სამყაროსათვის დამახასიათებელ კომპონენტს წარმოადგენდეს [4.63], ანალოგიური ნაკეთობანი დადასტურებულია ვიტაშკოვოში [12.163] (დასავლეთი პოლონეთი), ჩრდილოეთ შვეიცარიისპირეთში [13.142]. აქ ბეწ. 400-35 წწ. დათარიღებულ კულ-ობას ყორღანში გამოვლენილი იქნა ოქროს ორნამენტირებული გარსაკრავიანი მუქი შეი ფერის საღესი ქვა [13.142]. იგი, როგორც ჩანს მაშინვე, ელიტარული საზოგადოების, საკმაოდ ძვირად ღირებული ნივთი იყო. ნივთმა დღევანდლამდე აღდგენილი სახით მოაღწია. მისი, ალბათ განსაკუთრებული დანიშნულების გამო, იგი დაზიანებული სახითაც კი ხმარებაში იყო.

მინერალოგურ სამეცნიერო ლიტერატურაში ფიქსირდება მუქი შეი ფერის ქვა, რომელიც ლიდიტის („ლიდიური ქვის“) სახელითაა ცნობილი [14]. ამავე სახელით მკვლევარები („ლიდიური ქვა“ დღ.) მოიხსენიებენ კულ-ობას ყორღანში აღმოჩენილ შეი ქვის ნივთს [13.142]. მისი სახელწოდება მკვირვალური, ბევრფერული პროვინციის ლიდიტის სახელიდან მომდინარეობს. იგი მუქი შეი ფერის, ძალზედ მკვრივი, გაუმჭვირვალე, კაჟოვანი მინერალია (ფორმულა  $SiO_2$  სიმარე  $Mooc$ -ის შკალით 5.5-7), მისი ზედაპირი დაბურვლია. შესაძლოა მას ჰქონდეს მოწითალო ან მუქი ყაიისფერიც ცნობილია, რომ ე.წ. „ლიდიურ ქვებს“ ოქროსი და სხვა ძვირფასი ლითონების გასასხიჯად იყენებდნენ ძველი ეგვიპტელები, ბერძენები, რომაელები და ბერძენი სხვა ხალხებიც [15.120, 16.557, 18, 13.142]. ირკვევა, რომ სასინჯი ანალიზი წარმოიშვა ძველ ეგვიპტეში ბეწ. III-III ათასწლეულების მიჯნაზე, ნუბაში ოქროს მოპოვებასა და ეაჭრობაში მის ბრუნვასთან დაკავშირებით, ბაბილონში სასინჯი ანალიზი ცნობილი იყო ბეწ. 1500წ. [16.557]. საინტერესო ცნობებია დაცული „ლიდიური ქვის“ (Coticula), შესახებ პლინიუსთან [17.111]. მისი ცნობით (ამაში იგი თოფრასტეს იმოწმებს) ამ ჯიშის ქვა მდამოდის ნაპირებზე მოიპოვება. მას ზოგჯერ „ჰერაკლეს ქვადაც“ (Heraclius Lapis) იხსენიებენ [17.111]. ამ ქვის დახმარებით, ბერძენი სპეციალისტები საბადოდან გამოზიდულ მადანში უკანასკნელ მისხლამდე სიზუსტით საზღურადნენ მასში ოქროს, ვერცხლის ან სპილენძის შემცველობას. სინჯის ჩასატარებლად უკეთესი ის მზარე იყო, რომელიც ქვას მზისკენ ჰქონდა. როგორც ავტორი მოუთხოვს — მეთოდი გასაოცარი, მაგრამ უტყუარი“ [17.111] დღეს ცნობილია რომ არსებობს ხელოვნური სასინჯი ქვებიც რომლებიც შედარებით არამდგრადია შეფების (სპიტიის, გოგირდის და მარილ მუქ) მიმართ. თუ პლინიუსისათვის ასეთი ქვების საბადო მხოლოდ ლიდაში იყო ცნობილი, დღეს ასეთი მინერალები ცნობილია კავკასიაში, კარელა-ფინეთში, ურალში და სხვ. სასინჯი ქვის სტრუქტურული შემაღენლობა ძირითადად სილიციუმის, ალუმინის, რკინის მაგნიუმის და სხვათა ოქსიდებით განისაზღვრება. სასინჯე ქვას არ უნდა გააჩნდეს ნაპრალები და ეკრაცის ჩანართები, რადგან მასზე დატანილი გასასინჯი ხაზი არაერთგვაროვანია.

ნოქალაქეში აღმოჩენილი შეი ფერის თავგახერგილი ქვები ეოზუალურად საკმაოდ დიდ მსგავსებას იჩენენ ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ „ლიდიურ ქვებთან“.



რის გამოც ჩვენი ეგზემპლარის კრძი ნიმუში (№12974-587) შემდეგომ საბანდოზე გადავსა საქ სახელმწიფო მუზეუმის ქიმი-სარესტავრაციო ლაბორატორიის თანამშრომელს ნ.ტუბულაძეს. ნიმუში პირველყოფილია შემოწმებულია ექსპერტული შემაჯინიშნული შეკვების მიმართ მდგრადობაზე ქვა სამივე მეთის მიმართ, მდგრადი გამოდგა. ამის შემდეგ საჭირო გახდა გარკვეულიყო, შეიძლებოდა თუ არა ამ ქვით ოქროს სხვადასხვა სინჯების დადგენა. ქვის ზედაპირის ნიმუშის ზეით დამუშავების შემდეგ მასზე დატანილი იქნა ორი სხვადასხვა სინჯის (583 და 900) 3-4 მმ სივანისა და 10-12 მმ სიგრძის ერთგვაროვანი ზოლები. ზოლები გადაკვეთეთ შესაბამისი (583-ის) სასინჯი რვაქტივით. ზოლებზე წარმოქმნილი ლაქების ფერია ინტენსიუობის შედარებით ცხადი გახდა, რომ ქვამ ექსპერიმენტის ჩატარების საშუალება მოგვცა (ქარელის რ-ნის ბერიკლდეების ექსპლიციამ საველე სამუშაოების დროს ზედაპირულად მოიპოვა 10-12 სმ-ის სიგრძის, დამუშავებული შავი ფერის სასინჯი ქვა, რომელსაც თავსა და ბოლოში საკმაოდ დრმა ნაკარები გაანდა ზედაპირზე კი ორ ადგილას ევრცხლის, ორ ადგილას კი ოქროს ზოდის კვადი აშკარად ემჩნეოდა ქვა ღილი ღლიონტმა (რომელმაც ეს ცნობა მოგვაროდა და რისთვისაც მას დიდ მადლობას მოეხსენებთ) უარყო მათ მიერ ქვაზე რაიმე დაკვირვების ჩატარების ფაქტი. მაშინვე გაანდა მოსაზრება რომ ამ ქვითაც თავის დროზე (ქვის ასაკი სამწუხაროდ ვერ ისაზღვრება რადგან იგი ზედაპირულად იქნა გამოვლენილი) ოქროსი და ვერცხლის სინჯები დგინდებოდა).

ჩვენს მიერ ნოქალაქების ნიმუშზე ჩატარებულ დაკვირვებასა და მიღებულ შედეგებზე დაკრძობით, ეფექტობით, გარკვეული კორექტივი გაკეთდება შავი ფერის დღეშივე „სადეს ქვედა“ ცნობილი საგნების ფუნქციასთან დაკავშირებით. შესაძლებელია რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში კულ-ობის ყორდანში, დასავლეთ პოლონეთში - ვიტაშკოვში, ვანის №9 წარჩინებული კოლხი მუომრის სამარხში, ნოქალაქეში, პალურში, ნიგეზანში, ბრილში, ვრგეტის სამივე სამაროვანზე მუხურაში ქვედა დასაკრძალე მოედანზე გუადიხუსა და წითელი შექურის სამაროვანებზე ფიონის ცენტრალურ დიხა გუბებას კულტურულ ფენაში, თლიში, ურკში, მურხელში ბერიკლდეებზე საგარეულოში [1971] და სხვ დაფიქსირებული შავი ფერის ქვის ნიეთები (განურჩევლად იმისა მათ ოქროს გარსი აკრავს თუ არა - დღ.) სასინჯი ქვეთა.

ძალზე საინტერესოდ გვეტყება მათი გამოჩენის დროც. კოლხეთში შავი ფერის ქვისგან დამზადებული ქვის ნიეთების გამოჩენა ძვ.წ. VIII-VI სს. ემთხვევა. საინტერესოა რომ სწორედ ამ დროიდან იწყება საქართველოში საოქრომჭედლო ხელოსნობის მყოფე დიდი აფეთქება, რასაც ცხადია თავისი ბაზა უნდა ჰქონოდა. ბაზა კი, საკუთრივ ლითონის გარდა, დამხმარე საშუალებებსაც და თავისთავად ძვირფასი ლითონების სასინჯე საშუალებების ჭინასაც გულისხმობდა. როგორც ჩანს ქრონოლოგიის თვალსაზრისით სასინჯი ქვების გამოჩენის თარიღი კარგად ესადაგება საოქრომჭედლო საქმის მორიგი განვითარების დასაწყისს [ჩვენს მიერ გამოსაქვეყნებლად მომზადებულია ვრცელი გამოკვლევა „საოქრომჭედლო საქმე ძვ.წ. VIII-VII სს. კოლხეთში /ნოქალაქეის მასალების მიხ-ით/, სადაც ვრცელადაა მიმოხილული აღნიშნულ საოქრომჭედლო დარგთან დაკავშირებული ნოქალაქეიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალები].

აკადემიკოსები:  
ლალი ჯგავახიშვილი,  
ვახტანგ ფლობაძე -  
(ლოს-ანჯელესის  
უნივერსიტ. პროფ.),  
პარმენ ზაქარაია.  
1996 წ.



პარმენ ზაქარაია, ირაკლი ციციშვილი, დავით კომახიძე 1998 წ.



ორმხრივთაყიანი კერამიკული ქანდაკება ირმის (?)  
ბეჭ. VIII-VII სს. დ. ლომიტაშვილი



გველის სტილიზებული გამოსახულება სიცოცხლის ხის მოტივით (?) ქანდაკების კისერზე  
რომლის მთლიანი ფოტო უურნალის გარეკანზეა. ძვ.წ. VIII-VII სს. დ. ღლომტაშვილი



შტელ-ძაღლის (?) კერამიკული ქანდაკება ძვ.წ. VIII-VII სს. დ. ღომიტაშვილი



ვერძის (?) თავის ფრაგმენტი ძვ.წ. VIII-VII სს. დ. ღომიტაშვილი



- 1 შარაშიძე მერხველის სამართანი, თბ. 1977.
- 2 А. Кахидзе, Восточное причерноморье в Античную эпоху. Батуми 1981 /Сაბურთალოს უნივერსიტეტი 1985
- 3 თ. შატყვაძე, კოლხეთის ადრეოკენის ხანის სამართები 1985
- 4 В. Техов, Скифы и центральный Кавказ в VII-V вв. до н.э. М. 1980.
- 5 Е. Крупинов, Древняя история Северного Кавказа, М. 1960
- 6 Е. Крупинов, Северокавказская археологическая экспедиция КСИИ МК вып. XVII М., 1947
- 7 ვ. გოგაძე, კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა თბ. 1982
- 8 ლ. უბლაძე, კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგია, ქრონოლოგია და პერსონალიზაცია თბ. 1997.
- 9 М.П. Грязнов, Так называемые осельки Скифо-Сарматского времени, Исследования по археологии СССР, А., 1961.
- 10 А. Халиков, Волго-Камье в начале эпохи раннего железа VIII-V вв. до н.э. М. 1977.
- 11 თბ. დიორტიყვანიძე, რ. ფურუჩიძე ვ. თოდორაძე, ა. ჭყონია არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წ-ს ვანი I თბ. 1972
- 12 Зб. Буковский, Комплекс Греко-скифских предметов из Виташкова (Феттерсфельде) воеводство Зелена Гура (Западная Польша) Причерноморье в VII-Vвв до н.э. Тб . 1990.
- 13 Д. Уильямс, Дж. Огден, Греческое Золото, Санкт Петербург 1995 г.
- 14 Геологический словарь изд. Недра, М. 1973.
- 15 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IX
- 16 Б. С. Э . т. 34 М. 1955
- 17 Каия Плиния Секунда. Естественная история ископаемых тель. С-Петербургъ при ИМПЕРАТОРСКОЙ АКАДЕМИИ НАУК 1819 г.
- 18, Е. Маренков, Справочник пробириера, М. 1953
- 19 ც. შანაძე, სვარეველის მშარიმეკოდნობის მეზუეუმში დაცული ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიური მასალა /კატალოგი "ჟარეველი" კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები ტ. VIII თბ. 1988 წ.

ნოქალაქეში აღმოსავლელი ვერცხლის ჰურჯიანი

ნოქალაქეში გათხრილი სამარხების რაოდენობა დღეისათვის 130-მდეა ისინი რამდენიმე ტაის მოვლავენ: სხვადასხვა დროის ორმოსამარხები, ქვევრსამარხები და კრამიტსამარხები. ბუნებრივია, მათი ქრონოლოგიური ჩარჩოც - სხვადასხვაა. ელინისტური ხანიდან მოყოლებული - ადრეშუასაუკუნეების ჩათვლით (გარკვეული ინტერვალით).

ორმოსამარხები ისე, როგორც ქვევრსამარხები, გაითხარა ნაქალაქარის როგორც შიგნით, ისე გარეთაც. რაიმე კანონზომიერება მათ განლაგებაში ჯერ-ჯერობით, არ შეიმჩნევა. განსხვავებით დასავლეთ საქართველოს სხვა ანალოგიური ძეგლებისაგან (დაბლაგომი, დაფნარი და სხვა), თუმცა, ამისი ახსნა სამარხების გათხრილი ტეროტორიის სიმცირითაც შეიძლება. პირველად ნოქალაქეში გამოიკვთა ქვევრსამარხების ორმოსამარხებით შეცვლის სურათი [1]. აქედან გამომდინარე კი უნდა აღინიშნოს, რომ ქვევრსამარხების რიცხვი საკმაოდ ნაკლებია ორმოსამარხებზე.

ცნობილი იყო, რომ ელინისტური ხანის შიდა კოლხეთისათვის ქვევრში დამარხვის წესი ერთადერთია და რომ შედარებით სუსტადაა გამოვლენილი, მაგრამ მაინც გეხედვებოდა ელინისტური ხანის ქვევრსამარხები სამეგრელოში. აბაშა-ტყელების ორმოსამარხებში, სენაკსა და ნოქალაქეში [2].

ნოქალაქეის ელინისტური ხანის ორმოსამარხების ფორმა, ესაა ჩვეულებრივი ორმო, სადაც ხშირად საზღურების დადგენაც კი არ ხერხდება. ზოგ სამარხს იატაკი წერილი კვანძებით აქვს მოფენილი და ხშირ შემთხვევაში, გარეთა საზღურებიც ქვევრითაა მონაშნული. სამარხების ასეთი ფორმა ამ დროის კოლხეთიდან, ჩვენთვის ცნობილი არ არის. იგი დადასტურებულია უფრო ადრეულ, მეორადი გამოყენების სამარხებში, მაგ. აფხაზეთის ზღვისპირა ზოლში, ხოლო, რაც შეეხება მიცვალებულის დამხრობას, ადრეულ სამარხებში ძლიერ მოხრილია, შემდეგ ნაკლებად მოკრუნხული და გაშოტილ მდგომარეობაშია. დღევანდელი ცოდნის დონეზე მიღებულია, რომ თუ მიცვალებული დამხრობილია აღმოსავლეთისაკენ და გაშოტილი-ქრისტაიანული ხანისაა, არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ სამარხის დამხრობა ხშირ შემთხვევაში გეოგრაფიული ან რელიეფური მდებარეობითაცაა განპირობებული და ზემოთ მოტანილი სქემასაც ამდენად არ ემთხვევა [3].

ჩვენი განხილვის საგანია ვერცხლის ფილა და თევზი, რომლებიც აღმოჩნდა

XXIV უბანზე კუდრატე Lp.5, №18 ორმოსამარხში.

№16 ქვევრსამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, იგივე დონეზე დაფიქსირდა სხვადასხვა ნივთების უწყნარო გროვა: ელინისტური ხანის ამფორის პირ-ყელისა და ყურების ფრაგმენტები, სხვადასხვა ზომისა და ფორმის კოლხური წარმოშობის სამხარეული კრამიტის ნატეხები. შევლკანი ჭურჭელი და ბრინჯაოს საშუბლე მისგან 30-40 სმ მანძილზე აღმოჩნდა სამარხი №18.

სამარხი ეწირო და გრძელი ფორმისაა, რომელიც შემოსაზღვრული იყო დიდი ზომის რიყის და ფლეთილი ქვებით. მიცვალებული დამხრობილი იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, გულადმა, გაშოტილ მდგომარეობაში. ხელები მუცლის არეში აქრდა დაკრფილი, ფეხები - ოდნავ მოხრილი, აღბათ სამარხის სიგრძის სიმცირის გამო.

ამ სამარხში დაფიქსირებული ვერცხლის ფილა და თუფში ნოქალაქების სინამდვილეში ვერცხლის პირველი აღმოჩენა.

ფილა სარიტუალო ჭურჭლის ერთი საყოველთაოდ აღიარებული სახეობაა. სახელწოდება ძველი ბერძნული წყაროებიდან მომდინარეობს. იგი აღნიშნავს უფრო ფრიალა ჭურჭელს. ამ ფორმის არსებობა უძველესი დროიდან ივარაუდება. მის პროტოტიპად სირიიდან და ეგვიპტიდან მომდინარე ძეწ. IX-VII საუკუნეების ნამუშებს მიიჩნევენ. ამ დროს აღნიშნული ჭურჭელი მიეღეს ბერძნულსა და ირანულ სამყაროშია დამკვიდრებული.

ირანულ სამყაროში ომფალოსიანი ფილები ძეწ. IV საუკუნის შემდგომ ხანაში სადა თავისმა შეუცვლელ ბერძნულ სამყაროში კი ამ ფორმამ ელინისტურ ხანაშიც შემოინახა თავი. მაგრამ ამ დროს ამგვარმა ჭურჭელმა, ისევე როგორც სხვა სახის ნაწარმმა, მხოლოდ დეკორატიული და რამდენიმე უტილიტარული ხასიათი მიიღო.

ფილებში გამოყოფენ ორ ძირითად ტიპს - ბერძნულსა და ირანულს. ირანული ფილებისათვის დამახასიათებელ თავისებურებად ომფალოსიანი, დაბალი სფერული კორპუსი და გარეთ გადაშლილი ფართო პირია მიჩნეული. ბერძნული ფილების განმასხვავებელ ნიშნად კი, ვერტიკალურად მიმართული სადა პირი ითვლება.

მოყვანილობის გარდა, გარკვეული თავისებურებები აღინიშნება შემკულობაშიც. ირანული ფილების შემკულობის ძირითადი და ერთადერთი ელემენტია ღოტოსის გამოსახულება - ყვავილების, კოკრების და ფოთლების ნაბ-ნაბრი კომბინაცია.

ბერძნულ ფილებზე მცენარეულ ორნამენტს დაქვემდებარებული ადგილი უჭირავს უფრო ხშირია გეომეტრიული ორნამენტა. მთლიანობაში სიუვეტები ან ფრეზური გამოსახულებები.

ფილა ირანულ სამყაროში ღვთაების სარიტუალო ჭურჭლადაა მიჩნეული. მათ ძირითადად ძეწოფასი ღვთაობებისაგან - ოქროსა და ვერცხლისაგან ამზადებდნენ. მაგრამ ცნობილია ბრინჯაოს და თიხის ფილებიც.

პირველი ჭურჭელი მცირე ზომისაა. დამზადებულია თეთრი ფერის ვერცხლის მთლიანი ფურცლისაგან. მას ფართო, გარეთ გადაშლილი და ძალიან დაბალი, მომრგვალებული ომფალოსიანი ძირი აქვს. შემკულია ჭედური ორნამენტით. რელიეფი მთლიანად ფარავს ჭურჭლის ძირს. იგი შედგენილია ცენტრალური ვარდულის და მის ირგვლივ განლაგებული ნუშისგულისებრი ბურცობებისაგან.

განხილული ფილა მოყვანილობითა და შემკულობით ირანულ ფილებს ენათესავება. როგორც ცნობილია, ნუშისგულისფორმის ბურცობები, მხოლოდ ირანული ხელოვნების დამახასიათებელ თავისებურებადაა მიჩნეული. მხოლოდ ირანულ ტორეტიკაშია დამოწმებული გარეთ გადაშლილპირიანი ფილებიც.

ამდენად, იგი შეიძლება ზოგადად ირანულ სამყაროს დაუკავშირდეს თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი ანალოგია მას ირანული წარმომადელობის ფილებში არ ეძებნება. ეს გარემოება ართულებს ფილის წარმომადელობისა და თარიღის დაზუსტებას. ცენტრალური ვარდულის მოყვანილობით იგი რამდენადმე ენათესავება ძეწ. IV საუკუნით დათარიღებულ ფილებს და ზოგადად აქტიური ხანით ათარიღებენ. ამდენად განხილული ფილის დათარიღება მხოლოდ აღმოჩენის პირობების საფუძველზე უნდა მოხდეს. იგი აღმოჩენილია ელინისტური ხანის სამარხში და შესაბამისად ამ პერიოდს მიეკუთვნება.

ვერცხლის თუფშის არაზუსტი ანალოგიაა ფიჭვნარში, №6 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის თასისა, ოღონდ მისი გაფორმება ოდნავ განსხვავებულია. ასევე განსხვავებული ფორმის, ფიჭვნარის თანადროული ოქროსა და ვერცხლის

თასები ცნობილია საქართველოს სხვა პუნქტებიდან ახალგაზრო, ეანი, ყანჩაეთი და სხვა. რომელთაც მკვლევართა დიდი ნაწილი აქემენიდური წრის ნაწარმად მიიჩნევენ. ასევე აღმოსავლეთ ნაწარმადია მიჩნეული ალგეთის მინის ფიდაც, რომელიც ლითონის ტურბლის პროტოტიპადაა მიჩნეული [4].

ამრიგად ამ სამარხის ფორმა, აღმოჩენის გარემო და მისი შემცველი ნივთნობები შესწავლა გვაძლევს საფუძველს, რომ ეს სამარხი დაეთარიღოთ ელინისტური ხანით - ძეწ. IV-II სს.

1. Г.О. Гвинчидзе. Новоявленный некрополь древней столицы Западной Грузии Цихегоджи Нокалакви) - I, თბ. 1978, გე.38.
2. ე. თოლორადავა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ. 1980, გე.6.
3. Городиев. Елизаветский могильник. С.А. I, 1936, გე.34.
4. ვერცხლის ტურბლის დათარიღების, ანალოგიებისა და ბიბლიოგრაფიის შესახებ. იხ.: ნ. მათიაშვილი, ლითონის ტურბელი, ეანი III, 1977. ა. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ქველები ქსნის ხეობიდან, თბ. 1964. ღ. საგინაშვილი, ი. გაგოშიძე, ალგეთის ფიდა, „მაცნე“, 1973, №4.

ნოქალაქების არქეოლოგიური ექსპედიციების  
ისტორიიდან

პროფესორ პარმენ ზაქარაიას მიერ წარმოებული ნოქალაქების ექსპედიციის მეშობის ყოველი წელი აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი სახელეუბით, რომლებიც ნათელს ჰქუენ ჩვენი ქვეყნის ისტორიის იმ მონაკვეთს, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე ეგრისის სამეფომ განვითარების სიღრმადეს მიაღწია. პირველივე წლის მუშაობა მეტად შედეგიანი აღმოჩნდა. ყველამ ნათლად დაინახა, რომ ექსპედიციის მუშაობის მასშტაბები ყოველწლიურად გაფართოვდებოდა, რადგან ძველები მონუმენტური და ძველად გამოსაყვანი გამოდგა. მიუხედავად სირთულეებისა, რომელიც საექსპედიციო მუშაობას თან ახლდა, თითოეული ჩვენგანი მონდობიანად არ იშურებდა, რათა რაც შეიძლება ნაყოფიერი ყოფილიყო შრომის შედეგი. ყველას გვახალისებდა ბატონ ნაპოს მგაღიით, მისი ცოდნა, ფართო ანალიტიკური აზროვნება და უშრეტო ახალგაზრდული ენერჯია.

ნოქალაქების აღმოჩენებზე ბევრი დაიწერა. საკმარისია ითქვას, რომ გარდა ცალკეული პუბლიკაციებისა გამოქვეყნდა ნოქალაქე-არქეოპოლისის სამტომეული, რომელშიც გაშუქებულია ექსპედიციის მრავალწლიანი მუშაობის შედეგები. ამ მოკლე წერაში მინდა გავიხსენო ზოგი რამ სოფელ ნოსიარში, საბოთლოს ტერიტორიაზე ჩატარებული სამუშაოების ისტორიიდან, როდესაც აღმოჩენილი იქნა V-VI სს აბანო. მიუხედავად ძველის ცუდი დაცულობისა, ბატონმა ნაპომ შესძლო საკმარად დამაჯერებლად აღედგინა მისი პირენდელი სახე და უტყუარი ფაქტების მიშველიებით დაესაბუთებინა მისი ფუნქციონირების ცალკეული დეტალი.

რა საიდუმლოებას არ ინახავს დალოცვილი ეგრისის მიწა: ეინ იფიქრებდა, რომ კოლხეთის ეაკზე, მდინარე ტეხურის ჭაღაში, დღევანდელი დაფინს პლანტაციების შიდა გზაზე ექსპედიციისათვის მეტად საინტერესო ობიექტი აღმოჩნდებოდა. მის შესაძლო არსებობაზე პირველად სოფელ ნოსიარის საშალო სკოლის მოსწავლეებმა მოგვანიშნეს, რომლებიც ზაფხულის პერიოდში ექსპედიციის მუშაობაში გვეხმარებოდნენ. მათ გვითხრეს, რომ მდინარე ტეხურის მარცხენა სანაპიროზე ნიადაგის თხელი საფარის ქვეშ არის დიდი ქვების შწყრივი, რომელიც რამოდენიმე მეტრის მანძილზე გრძელდება. ბატონმა ნაპომ ადგილის დათვალიერების შემდეგ სასწრაფოდ შექმნა ახალი სამუშაო უბანი სოფელ ნოსიარში და მისი ხელმძღვანელობა მე დამაეადა. პირველივე გაწმენდილმა სამუშაოებმა ცხადმაყვეს, რომ საქმე გვექონდა უძველეს ნაგებობასთან, რომლის კედლები თითქმის მთლიანად იყო დანგრეული და მხოლოდ საძირკვლის კედლია იყო დარჩენილი. ამ ძველის ნარჩენების გასაფოთლება-გამომშუყურებას ექსპედიციამ რამდენიმე სეზონის განმავლობაში აწარმოებდა. დასაწყისშივე ბატონმა ნაპომ უყოყმანოდ იყარაუდა, რომ საქმე გვექონდა უძველესი აბანოს კონსტრუქციასთან. ამასთანავე საჭიროდ ჩათვალა ახლომდებარე ტერიტორიის დეტალური დაძიება, რადგან სრულად მართებულად მოჩინა, რომ აბანო განკალკვევით სხვა ნაგებობებისაგან მოცილებულად არ შეიძლება ყოფილიყო აგებული და იგი როგორც დამხმარე ნაგებობა რაღაც კომპლექსის შენადგენელი ელემენტი უნდა ყოფილიყო. აღმოჩენილი ნოსიარის აბანოს გვემის მსგავსი ნაგებობა საქართველოში ჯერ არ ყოფილა გამოვლენილი. სამწუხაროდ მისი ორი კუთხე სარწყავი არხების გაყვანისას მიღიანად დანგრეულია.

რამაც აბანოს მილიანი მოყვანილობის აღდგენა საკმაოდ გაართულა. თუმცა ძირითადი კონტურების დადგენა მინც მოხერხდა, კომბინირებულმა წყობამ მილიანი საძირკელის კონფიგურაციამ საშუალება მოგვცა საკმაო სიზუსტით რაღაცეების შენობის გეგმა და მასში შემავალი სხვადასხვა დანიშნულების სათბესის ურთიერთ განლაგება აღმოსავლეთით მდებარეობდა აბანოს შესასვლელი. იგი კედლის შუა ადგილას იყო განლაგებული. ეიწრო ტალანის მარჯვნივ იყო გასახდელი მარცხნივ კი ცივი წყლის საკმაოდ დიდი აუზი გამოვლინდა ორი სათაესი თბილი და ცხელი აუზებით. პირველი წარმოადგენდა მოხრდილ სწორკუთხა დარბაზს. მეორეს - ცხელს კი საკმაოდ საინტერესო გადაწყვეტა ჰქონია. გვერდებზე თითო ნახევარწრიულ აფსიდურ შევირღებში აუზები იყო მოწყობილი. ცხელი სათაესის დასავლეთ მხარეს მოდგმული იყო საქვაბე აბანოს ქვედა დონე ფაქტურად კალორიფერებს ეკუთვნოდა. ისინი წარმოადგენდნენ კერამიკულ მიღებს. ცხელ საბაზანოში იატაკის გარდა კალორიფერები კედლებშიც იყო განლაგებული, რომელზედაც მოგანიშნებს კერამიკული სწორკუთხა ფორმის ფრაგმენტები. მათში ხდებოდა ცხელი ჰაერის ცირკულაცია. ბუნებრივია იმის დაშვება, რომ იატაკი და კედლები უზარდროულად ცხელდებოდა. ასეთივე გზით ცხელდებოდა აფსიდური აუზებიც. თუმცა აუზების ძირის დონე იატაკზე დაბლა მდებარეობდა. აუზების იატაკი დუღაბის სქელი ფენით იყო ნაგები. კალორიფერების განლაგების ადგილას იატაკი აგურისა იყო. ხოლო წყლის აუზები შედგნილი აბანოს კედლები ყოველ ქვით იყო ნაგები. კალორიფერების განლაგების ადგილას იატაკი აგურისა იყო, ხოლო წყლის აუზები შედგნილი წყალგაუმტარი ხსნარით (ყირის ხსნარში შერეულია დანაყოფი აგური).

აბანოს ნანგრევებში ბევრი იყო კერამიკის ნამტრევეები, რაც მისი გადახურვის სახეზე მოუთითებს. სახმარო ჭურჭელი ან სხვა არქეოლოგიური მასალა არ იქნა აღმოჩენილი. აბანო, ბუნებრივია წარმოადგენდა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობათა კომპლექსის შემადგენელ ელემენტს. ამიტომ მისი იზოლირებულად არსებობა საეჭვოა. ამ მიზნით ჩვენ დაუხვეურეთ ახლომდებარე ტერიტორია. მაგრამ რაიმე ნაგებობის კვალს ვერ ვხვდებით ვერ შევაცდელით. არ არის გამორიცხული, რომ შემდგომში დეტალური მუშაობით შესაძლებელი გახდება გარკვეული შედეგის მიღწევა.

ნოსიროს აბანოს მაგალითი იმის დადასტურებაა, რომ ზოგჯერ ძლიერ დაზიანებული და თითქმის იურშეკვლილი არქეოლოგიური ძეგლის ცალკეული ფრაგმენტის საშუალებით იქნება შესაძლებლობა აღდგენილ იქნას მრავალი საუკუნის წინ აგებული ნაგებობის პირვანდელი სახე და მისი ფუნქციური დანიშნულება.

ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ბატონ პარმენ ზაქარაიას ხელმძღვანელობით, თავისი მეშაობის მრავალი წლის მანძილზე მიიღო რიგი საინტერესო ძეგლი გამოავლინა, რომლებიც უშუალოდ ციხე გოჯის და მისი ტერიტორიის გარეთ მდებარეობენ, რაც თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ მთლიანად ეს რეგიონი, რომელიც სენაკისა და მარტვილის რაიონებს მოიცავს ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა და მას შეუძლია მოგვაროდოს მდიდარი ინფორმაცია ადრეუფოდადური ხანის საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ.

## სეფიეთის ეკლესია

ეროვნული  
ზოგლოთისა

აბაშის რაიონის სოფ. სეფიეთის „მთავარანგელოზის“ ეკლესია, სოფლის ცენტრში, მოქმედ სასაფლაოზე დგას. მას ჯერ კიდევ ე თაყაიშუელი მოიხსენიებს, როგორც ერთ-ერთ უძველეს ეკლესიას[1].

სეფიეთის ბაზილიკა საკმაოდ კარგად არის შემორჩენილი, თუმცა გადაკეთებების გამო საფუძვლიანადაა სახეშეცვლილი. საბედნიეროდ მოხერხდა ძველის როგორც ფასადების, ისე ინტერიერის გაწმენდა. ნაღესობის მოხსნამ თავდაპირველი ფორმა გამოავლინა.



სურ. 1  
ეკლესია სამხრეთ  
აღმოსავლეთიდან

სეფიეთის „მთავარანგელოზის“ ეკლესია სამხრეთიანი ბაზილიკა, ცილინდრული ფორმის შეკრული აფსიდით. ეკლესიის გეგმა, უაფსიდოდ, თითქმის კვადრატულია. ცენტრალური ნაე, რომელიც გვერდით ნაეებზე ოდნავ მაღალია, სიგანით მათზე თითქმის სამჯერ განივრია. ცენტრალური ნაეი აღმოსავლეთით ნახევარწრიული საკურთხეულის აფსიდით თავდება. ცენტრალურ და გვერდით ნაეებს ერთმანეთთან სამ მასიურ სვეტზე დაყრდნობილი ორსართულიანი თაღები აერთიანებს. სვეტები მარტივად პროფილირებული კაპიტლებითაა დამთავრებული. გვერდითი ნაეები ორსართულიანი ყოფილა; შორეუ სართული პატრონიკესათვის იქნებოდა განკუთვნილი. ინტერიერი საფუძვლიანადაა გადაკეთებული. ცენტრალური და ჩრდილო ნაეების გამყოფი შუა ორი თალი ამოშენებულია, დატოვებულია მხოლოდ გასასვლელები კედლის ბოლოებში, ისიც ფორმაშეცვლილად. ამ მხარეს მთლიანად ამოშენებულია პატრონიკეს თაღებიც, გაწმენდის შედეგად ჩრდილო კედელზე მხოლოდ ერთი, აღმოსავლეთიდან მეორე, თაღის ნაკერი აღმოჩნდა. კედლის დანარჩენი სიბრტყე დანგრევის შემდეგ, გვიანაა ამოყვანილი. საშენი მასალაც სრულიად განსხვავებულია ადრეული წყობის მასალისაგან.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სამხრეთით ცენტრალურ ნაესა და სამხრეთ ნაეს შორის სამი თალი შემორჩენილი, ხოლო გაწმენდამ მეთოხისა, ამოშენებული


თაღის საკრძევის ნაგებობაც გამოაჩინა აქ კარგადაა შემორჩენილი პატრონიკეს-  
თაღებიც

ცენტრალურ ნაეს პატრონიკეს იატაკის დონეზე პირობონტალური საკრძევილი  
შემოყვება. ასეთივე სარტყელითაა გამოყოფილი აფსიდის კონქიც.

ცენტრალური ნაეი გვიანი ისრისებრი კამარითაა გადახურული. თავდაპირველი  
კამარის ჩანტრეუამ, როგორც ჩანს გამოიწვია ჩრდილოეთის პატრონიკეს დაგზრეუაც.

საკურთხეველის აფსიდა წრიული მოხაზულობისაა. აფსიდის სამხრეთის ბოლო  
ქვა კაპიტელით იკითხება. ამიტომ მასზე ხუროთმოძღვარს ვარდულები  
გამოუსახეს. საკურთხეველი ამჟამად ორი სარკმლით ნათდება. აქედან სამხრეთისა  
თავდაპირველია. მხოლოდ გვიან ოდნავ დაუწროებულია. მორე, ჩრდილო-  
აღმოსავლეთ ნაწილში ამჟამად არსებული სარკმელი აშკარად გვიანდელია (შინით  
განიურდება, რითაც არ შეესაბამება სამხრეთით პარალელურწირთხლებიანს) და  
შუფერებულ ადგილზეა გაჭრილი. მესამე სარკმელი (რომელზეც ე თაყიშული  
მოუთითებს), ყველა ნიშით ცენტრში უნდა ყოფილიყო, მაგრამ აქ ორ სართულიანი  
წრიული ნიშაა, რომლის მოხატულობამ (წმინდა ნინო, რომელიც ჯერჯერობით  
ერთადერთია დასავლეთ საქართველოს გლეხისათა საკურთხეველებში) არ მოგვცა  
კედლის შედესილობის გახსნის საშუალება.

გვერდითი, ორსართულიანი ნაგების პირველ სართულს აგურის ცილინდრული  
კამარა ჰქონია, ხოლო მორე სართული გამბრჯენი თაღების საშუალებით ოთხ  
ნაწილად ყოფილა გაყოფილი. ნაგების აღმოსავლეთის ბოლოები თაღებით



სურ. 2  
გლეხის განაკვეთი  
სამხრეთით

გამოყოფილი, კვადრატული სათავსებია. შესასვლელები დახიანებულია, იატაკი  
ჩანტრულია და მორე სართულზე ასასვლელებიც დღეს არ ჩანს.

მოუხედავად სეფიეთის საკურთხეველის ერთნაწილიანობისა, მისი მორე  
სართულის აღმოსავლეთი ნაწილები კარებითაა გამოყოფილი. შეიძლება ეს იყოს ცდა  
მათი დამხმარე სათავსოებად გამოყენებისთვის. ამ პერიოდისათვის ქრისტიანული  
რიტუალი საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ იყო და შეიძლება ამგვარი გადაწყვეტაც  
დაეუშუათ.

მორე სართულის ოთხი ნაწილიდან, თითოეული ჯვაროვანი კამარით ყოფილა  
გადახურული. მათგან შემორჩენილია სამხრეთის ნაეის ჯვაროვანი კამარები, ხოლო  
ჩრდილოეთის ნაეის აღმოსავლეთის კვადრატული მონაკვეთი ოდნავ სახეცვლილია.

დასავლეთის მხრიდან შუა ნაეს სამი დიდი სარკმელი აქვს, რომლებიც გვიან  
გადაუკეთებიათ. ქვედა დონის სარკმელები დაუწროებულია, ხოლო შუა თითქმის  
ამოჭრილი. მხოლოდ პატარა ღიობია დარჩენილი. აქაც, ისევე როგორც აღმოსავლეთ  
ფსადზე სარკმელები პარალელური წირთხლებითაა და ნახევარწრიული თაღები

აქეს დასავლეთის ფასადზე გვერდითი ნაეების ბოლოებში, შიორე სართულის ღონეზე გაჭრილი ფანჯრებიდან, სამხრეთისა ამოშენებულია (თავდაპირველად თალიანი და ფართი ყოფილა), ხოლო ჩრდილოეთისა, ისევე როგორც მდინანდ კედლის ეს მონაკვეთი, ახალი ამოყვანილია. ამავე ფასადზე სამხრეთის ნაეის-პირველ სართულზე გამოვლინდა თალიანი სარკმლის წირთხლები. ასეთივე თითო სარკმელი ჰქონა ორივე ნაეს აღმოსავლეთის მხარეს, პირველი სართულის ღონეზე, რომლებიც გვიან ამოუშენებიათ.

ორივე ნაეს პირველ სართულზე, გვერდითი ფასადების დასავლეთ მონაკვეთებში თითო სარკმელი აქეს. სამხრეთისა, რომელიც 1913 წ. თავაიშვილს აქეს მოხსენიებული[2] მდინანდ ამოჰოლილია, მხოლოდ შეიმჩნევა ჩაშენების კვალი.

ცენტრალურ ნაეს მალღა გვერდითი სარკმელები არ აქეს. ნაეების სიმაღლეა მცირე განსხვავება ამის საშუალებას არ იძლევა. ამასთან ერთად, ვგემა შევერად დამოკლებულია. ე. დეკორატივის ახრით, სიმოკლე გამოწვეულია იმით, რომ მხოლოდ საკურთხეველის აფსიდისა და დასავლეთის კედელში გაჭრილი სარკმელების მეშვეობით უნდა მოხერხებულიყო კედლის განათება[3]. ამ შეხედულებას ვერ დავეთანხმებით, რადგან აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ დამოკლებულ ბაზილიკაში (ყაღვთი, ხუეის სიონი და სხვა), არის ცენტრალური ნაეის გრძივ კედლებში გაჭრილი სარკმელები, ხოლო ბაზილიკათა დამოკლება უფრო ადგილობრივ ტრადიციებთანაა დაკავშირებული.

ბაზილიკას ამაჰმად სამი შესასეღელი აქეს - დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. დასავლეთისა და ჩრდილოეთის კარი თავდაპირველია, სამხრეთის - შემდგ. შა გაჭრილი. გაწმენდამ დაადგინა, რომ კედლისაის გრძივ ფასადებზე ორ-ორი კარი ჰქონა (გაიწმინდა ყველა კარის წირთხლები).

ცენტრალური ნაეის დასავლეთის კარი, შთავარი შესასეღელი, სადაც ახლა გვიანი მინაშენის საშუალებით ეხედებით, საკმაოდ ფართოა. კარი გადახურული ყოფილა ღონეებით, რომელიც ამაჰმად ამოშენებულია. საქართველოში მსგავსი ღონეტების გამოყენების ძირითადი ქრონოლოგიური ჩარჩობა V-VI სს. შიგნა. კარი ზღურბლის ქვის მთელ სიგრძეზე ამოკვეთილა შეიდი, წრეში ჩასმული, ქვესურა გარღული. ასეთივე რვა ვარდულია არქიტრავზეც. შათ ცენტრში, წრეში ჩასატული ტოლმკლავა ვეარია. ასეთივე ვარდულები აღმოჩნდა სამხრეთის ნაეის აღმოსავლეთი კარის ზღურბლზე, აფსიდის თაროს განაპირა ქვეებზე. ცენტრალურ ნაეში ნაჰონ ქვის პატარა ფრამენტზე, რომელიც კედელზე გამავალი სარტყლიდან უნდა იყოს. ასეთივე ორნამენტითაა შორთული შარტყელის მხარეთმცოდნეობის მეზეუშში დაცული, სეფითიდან წალებული კაპიტელი, რომელიც თავისი მასშტაბით სეფითის ახლანდელ არქიტექტურას არ უკავშირდება (აღმათ აქ სხვა ნაგებობებზე იდგა). ვარდულები შესრულებულია რელიეფური კვეთით. ასეთი ტიპის ვარდულები არის ბოლნისის სიონში აღმოჩენილ ქვის ვერების ერთ-ერთ ფრამენტზეც. ასეთივე ხასათის ვარდულება ბოლნისშივე ვარდანის წარწერიანი ვერის ორნამენტთან, რომელიც ე. ჩუბინაშვილს ტაძრის თანადროულად შიანია[4].

კედლისაის კედლები გვიანი დროის ფრესკებითაა მოხატული, რომელიც ე. თავაიშვილის დროსაც ცუდ მდგომარეობაში ყოფილა.

სეფითის ბაზილიკაში ოთხი წარწერიანი ქვაა. ორი შათგანი ასომთავრულითაა შესრულებული, ორიც ბერძნულით. ასომთავრული წარწერები არაუადრეს XV საუკუნისაა. ბერძნულები კი VI-VII სს-თ თარიღდება. ყველა ეს წარწერიანი ქვა კედლისაის შემდგდროინდელი გადაკეთების დროს სამშენებლო მასალადაა ნახშარი.

სეფითის ბაზილიკა ნაგებია შერეული, opus mixtum-ის სახელით ცნობილი, წყობით. ბაზილიკის გრძივ ფასადებზე შემორჩენილა კონტრაფორსის ფრამენტები.

ასეთივე კონტრფორსები გამოვლინდა ნოქალაქეის სამნავიან ბაზილიკაშიც, როგორც  
 ეტყობა, ისინი გამოიყენებოდა კამარების გამბრუნების ძალების ნეიტრალიზაციისათვის.

ეკლესიის კარნიზიც და სახურავიც გვიანია. შუა ნაწი გადახურებულია სრულფასოვან  
 ხოლო გვერდითი ნაწები ცალკე ცალფერდა სახურავით.

სეფიეთის ბაზილიკა თავისი დამახასიათებელი ნიშნებით ადრეული პერიოდისაა.  
 მისი შერეული, წრიული აფსიდა, ერთნაწილიანი საკურთხეველი, ბურჯების  
 კვადრატული გვემა, პროპორციები, წყობის თავისებურება, კარ-ფანჯრის  
 სწორწირობელიანობა, დასაყდელის კარის ღია ღუნებტი, მორთულობის ზოგადი  
 ხასიათი, ჯეგროვანი კამარების გამოყენება და სხვა მას V-VI სს. ძველებთან  
 აახლოებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასაყდელ საქართველოს ბაზილიკათა  
 უმრავლესობა სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება. გასათვალისწინებელია ქვეყნის  
 მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობაც. VI ს. 20 წლების ბოლოს იწყება  
 ხანგრძლივი ომი, რომელსაც ბიზანტია და სპარსეთი აწარმოებდნენ. ვრისის  
 ტერიტორიის დასაპყრობად[5]. ამ სიტუაციაში რაიმე დიდი მშენებლობის წარმოება  
 შეუძლებლად მგეანია.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სეფიეთის ეკლესია V-VI სს. ზღვარს უნდა  
 მიეკუთვნებოდეს.

1. ე. თაყაიშვილი, სეფიეთი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წ. II,  
 ტფ., 1914, გვ. 33
2. იგივე, გვ. 34
3. Леквиндзе В. А., О постройках Юстиниана в Западной Грузии - Византийский  
 временник, т. 34, М., 1973, ст. 182.
4. Чубинашвили Г. Н., Болниси, 1940, სურ 58-69, 113.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 178-179.
6. ნ. ლომოური, ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი, ნოქალაქევი-არქეოპოლისი,  
 I, თბ., 1981, გვ. 19.

VII-VIII საუკუნეების უბრისის ისტორიის სოზიერთი მატრიკონის  
ნოქალაქებში გამოვლენილი ორი ნივთის მიხედვით

ნოქალაქეის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აკად. წვერ - კორესპონდენტის კ. ხაჩარაიას ხელმძღვანელობით უაღრესად დიდ შედეგებს მიაღწია. მის მიერ აღმოჩენილ ნივთიერ მასალებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკუირავს ორ ნივთს - ტყეის შუკიდულ ბეჭებს ე.წ. მოლიედოუელსა და ბრინჯაოს ჭედს ანუ ქოროსს[1]. ორივე მათგანი თავის დროზე შეისწავლა პროფ. ე. ლევინაძემ[2]. პირველ რიგში ჩვენ შევეხებით ტყეის შუკიდულ ბეჭებს. ე. ლევინაძემ მოახერხა ამ ბეჭდის ანალოგიის მოძიება ერთბაშის კოლექციაში და მათი შედარების საფუძველზე გააშვირა მონოგრამა და ლეგენდა (სურ. 1). მან მიაქცია ყურადღება იმას რომ ბეჭდის პირის მხარეს ჯერისებურ მონოგრამაზე ტრადიციული შინაარსია - „ΦΕΟΤΙΚΕ ΒΙΟΥΛΑ“ - „ღეთისწმშობელო შეიქყაღე“. ასეთი ჯერისებური მონოგრამები ძირითადად ზატმებრძოლობის პერიოდს (724-726 წლიდან) განეკუთვნებიან[3]. თუმცა არსებობს ცალკეული ვსემპლარები, რომლებიც VII ს-ის II ნახევრით თარიღდებიან[4]. იმავედროულად მონოგრამას გარშემო შემოუყვება ლეგენდა „ΤΩ ΘΙΣΛΑ ΘΣΥ“, რომელიც ტრადიციული „ΤΩ ΘΩ ΘΙΣΛΑ“-ის მაგიერადაა მოთავსებული. ასეთი ლეგენდები უძველესად ითვლება და VII ს-ის ბოლოს ან VIII ს-ის დასაწყისს განეკუთვნებიან[5].


უკან მხარის მონოგრამის და ლეგენდის გაშიფურის შედეგად ე. ლევინაძემ წაიკითხა - „სერგი ნებარნევის შეიღო“. თუ მამის სახელი - „ნებარნევი“ აშკარად იკითხება, სერგის გაშიფურა მოხერხდა ბიზანტიელ ისტორიკოს თეოფანე ჯამთაღმწერულთან (IX ს) მოხსენიებულ ღაზიკის პატრიკოსის სერგი ბარნუკის ძის საშუალებით, რომელმაც 697 წელს ქვეყანა არაბებს გადასცა[6]. ამას თუ დაემატებთ იმასაც, რომ ლეგენდაში აშკარად იკითხება ასოები - „ს“, „ე“, „რ“ და „გ“ - გასაგებია, რომ სერგი ნებარნევის ძე და სერგი ბარნუკის ძე ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს. ნიშანდობლივია, რომ სერგის წინა პერიოდში ღაზიკის პატრიკოსად ჩანს - ლებარნიკოსი[7]. ნებარნიკოსის და ლებარნიკოსის ერთიდაიგივეობაზე კი ამჟამად აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს.

სკუთუნის VII ს-ის II ნახევარსა და VIII ს-ის მოღვაწეს პატრიკოს სერგი ნებარნევის ძეს; როგორც ზემოთ



სურ. 1. სერგის ბეჭდების ანაბეჭდები  
1- ნოქალაქეურა, 2- ერთბაშის

ამრიგად, ნოქალაქეში გამოვლენილი ბეჭედი და VIII ს-ის მოღვაწეს პატრიკოს სერგი ნებარნევის ძეს; როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ჯერისებურ მონოგრამიანი



ბჭვლებიც შესაბამისი ღვებდით „თ ბოსას თა“ სწორედ ამ პერიოდს/ განკუთვნიებთან სერვის ბჭვდი ჩეჭი აზრით 697 წლამდე დროით უნდა დასარიღდეს ანუ სანამ ეს მმართველი ბიზანტიისლამი გრუგულებას იჩნდებოდა.

აქ საჭიროა კიდევ ერთ საკითხს შევეხთ ბიზანტიელი ავტორებმა აღნიშნულ და ბარნუკ სამეცნიერო ლიტერატურაში გათვლებული არიან XI ს-ის ქართულ საისტორიო წყაროში - აფხაზ მეფეთა დიანში<sup>8</sup> მოხსენიებული „ბარნუკის“. რომელიც XVII ს-ის იურუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის მიერ გადაწერილ ნუსხაში იხსენიება „კაპარუგად“<sup>8</sup>. (როგორც ჩანს გადაწერის შეცდომას. ეს ნუსხა შეუდგენა ბაგრატ III-ს XI ს-ში, რათა დამტკიცებინა თავისი ნათესაური კავშირი აფხაზ მეფეებთან და შესაბამისად საკუთარი სამეცნიერო უფლება. კ ინგოროყა და კ ლექსინაძე ამ პირებს ათვნიებენ<sup>9</sup>; თუმც ზ. ანჩაბაძე თვლიდა, რომ ბარნუკ-ღებარნუკ დაზუთის მთაერები არიან, ხოლო ბარუკ-კაპარუგი აფხაზეთის მთაერები და მათ საერთო არაფერი ჰქონდათ<sup>10</sup>).

ჩეჭი აზრით თოფიანე კამთაღმწერლის „ბარნუკს“ და აფხაზ მეფეთა დიანში<sup>8</sup> ბარუკის ერთიდაიგივეობაზე არა მხოლოდ მათი სახელების ერთიდაიგივეობა მოუთითებს, არამედ ისიც რომ ერთი და იგივე დროის მმართველები ჩანან. ჩეჭ არ გვეგონია, რომ ერთიდაიმავე დროს დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობდნენ ერთი სახელის „ბარნუკ-ბარუკს“ მქონე სხვადასხვა მმართველები, რაც შეეხება იმას თუ ვინ იყო ეს პიროვნება - დაზიკის პატრიკოსი თუ აბაზიკის მმართველი, ამაზე ჩეჭ შემდეგ ვერაუდს გამოთქვამთ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ აფხაზ მეფეთა დიანში<sup>8</sup> შეუდგენია ბაგრატ III-ს საკუთარი გენიოლოგის განსამტკიცებლად, თუ სიას შეეადარებთ რვაღურ ვითარებას, აფხაზეთის მეფის ლეონ II-დან მოყოლებული სრულიადი დაცული ქრონოლოგია (აკლდა მხოლოდ ორი მეფე - იოანე I და ადარნასე I (868-881 წწ.), რომლებიც სხვა დინასტიის - შავლანთა წარმომადგენლები იყვნენ<sup>11</sup>), რაც შეეხება სიას ლეონ II-მდე, აქ არ ჩანს მისი ბიძა, ცნობილი მოღვაწე ლეონ I, რაც თავისთავად უცნაურად უნდა გვეჭვებოდეს. მაგრამ თუ ვურადლებას მივაქცევთ სიას, აქ მოხვედრილი პირები დალაგებულები არიან პირდაპირი ხაზით ანუ მამა-შვილობით და არ იხსენიებიან მათი ბიძა-ძმისშვილები, როგორც ჩანს ნუსხის დამკვეთის ინტერესებში ამის გაკეთება სრულიად არ იყო, რადგან იგი უსაშველოდ გაიზრდებოდა, ხოლო აღნიშნული სით თავის მოხანს ანუ ნათესაობის დამტკიცებას აბაზიკის მთაერებთან ისედაც აღწევდა. ასე რომ სერვის არ მოხვედრა ამ სიაში სწორედ ამ მიზეზის გამო გვეჭვებება. რაც შეეხება ნებარნუკ-ბარუკს, ვასარკვევია როდის ხდება იგი დაზიკის პატრიკოსი? ბიზანტიური წყაროს თანახმად VII ს-ის შუა ხანებში დასავლეთ საქართველოში მომდინარეობდა ბრძოლა პატრიკოსის სახელისათვის, თეოდოსი განგრელის ცნობით, ანასტასი აპოკრისიარის ტყვეობის ექვს წლის მანძილზე (662-668 წწ) დაზუთში რამოდენიმეჯერ იცვლება მმართველი<sup>12</sup>, ამ ბრძოლაში მონაწილეობენ დასავლეთ საქართველოს მმართველი წრეების და პოლიტიკური წარმონაქმნების წარმომადგენლები. მაგალითად, ორიჯერ გაძევებული დაზუთის პატრიკოსი და მაგისტროსი გრიგოლი თავს აფარებს აბაზიკას, როგორც ჩანს აბაზიკის მმართველები გარკვეულ დროს სწორედ მას უჭერდნენ მხარს, თუმცა იგი აფსილეთის მმართველი წრეების წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, რაზეც მისი რეზიდენციის „ჯიხახორაში“ არსებობა მოუთითებს, რომელიც სწორედ ამშვილეთში ლოკალიზდება<sup>13</sup>, 668-669 წლებში კი დაზიკის პატრიკოსად უკვე ლებარნიკოსი ჩანს<sup>14</sup>, როგორც ჩანს ეს სახელი აბაზიკის მმართველთა ხელში გადადის და კარგა ხნითაც, რადგან მის შემკედრედ უკვე მისი ვაჟი სერგი ჩანს, მისი არაბთა


წინააღმდეგ გამოსვლის შემდგომ, კვლავ აფშიდელის მმართველთა ხელშია დღემდე ისაეროელის დახეობაში ყოფნის პერიოდში (705-713 წწ) აბაზგთა, დახცა და იბერია არაბებს ემორჩილებოდა. დღინი სწორედ აბაზგების წინააღმდეგ დასაქრავებლად არის ჩამოსული და მას დახმარებას უწყევს ამ მდებარეობის მართვით მარნე (მარიანე), რომელიც 738-740 წლების ამბებთან დაკავშირებით ბრწყინვალე პატრიკოსად იხსენიება[15].

აქ აუცილებლად გვინდა შევხებით ნოქალაქეში გამოვლენილ ბრინჯაოს ქორისს, რომლის მხოლოდ ორი ნაწილია შემორჩენილი (სურ.2). უფრო დიდ დისკოზე შემორჩენილი ასობით აღდგა ბიზანტიური ქორისებისათვის დამახასიათებელი „ΦΕΝΟΧΕ“ - აღეთისმშობელი“, ხოლო მეორე დისკოზე აღდგა სახელი - „ΕΞΕΤΡΑΤΙ“.

ე დეექინაძემ და ლ ხეველიძემ აღნიშნული პირი გააიგივეს აგათია სქოლასტკოსთან მოხსენიებულ ბიზანტიულ სტრატეგოს სოტერიქს უმცროს ეათან ექსტრატისთან[16]. აღნიშნული სოტერიქე 555 წელს ჩამოხევა ბიზანტიიდან ჩამოსულ დახეთის მეფე წათეს და შემდგომ ორ უფროს ეათან - ფილაგრიუსთან და რომულესთან ერთად მოკლულ იქნა მისამბილთა მიერ[17]. ჩვენ როგორც ზემოთ აღნიშნულ ევრისებური მონოგრამები VII ს-ის II ნახევრიდან ჩნდებიან, ასე რომ ექსტრატის სოტერიქს ძე, რომელიც უკეთეს შემთხვევაში VI ს-ის II ნახევრის მოღვაწე იყო, არ შეიძლებოდა მისი პატრონი ყოფილიყო. ამავე დროს ჩვენ ისიც ვი არ უკითხ, რომ აღნიშნული ექსტრატის დასაუღეთ საქართველოში ნამყოფი იყო თუ არა.

ჩვენი ვარაუდით შესაძლოა ჭადის პატრონი ყოფილიყო ზემოთ ნახსენები პატრიკოსის მარიანეს ვაჟი ექსტრატის, რომელიც 738 წელს არაბ სარდალ სულეიმან ისამის ძეს რკინის ციხეში დაუტყვევებია[18]. ბიზანტიურ წყაროში მხოლოდ ექსტრატის მოხსენიება ხომ არ მოუთითებს იმაზე,

რომ სწორედ იგი იყო ამ დროს ევრისის პატრიკოსი. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ექსტრატის რკინის ციხეში იყო გამაგრებული და არა არქეოპოლისში, ევანშერის ცნობით, მურვან ყრუს დაშქობისას ქართლის მეფეები დასაუღეთ საქართველოს მმართველებთან ერთად ევრ ევრისის აფარებენ თავს და შემდგომ აფხაზეთს. შესაძლოა ექსტრატის თავის მშობლიურ აფშიდელის (მამამისი მარნე თავდაპირველად აფშიდელის მმართველი იყო) გაემართა და იქ გამაგრდა. ასე რომ ჩვენ გგონია, რომ შესაძლოა ამ ქორისის პატრონი სწორედ ექსტრატის მარიანეს ძე ყოფილიყო.



0 10

სურ. 2 ბრინჯაოს ქორის ნოქალაქეიდან

ყოველზე უმთავრესიდან გამოდინარე, ჩვენ მივდივართ შემდეგ დასკვნამდე: VII ს-ის შუა ხანებიდან დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობს ბრძოლა პრეველიზმისათვის აქ წარმოქმნილ პოლიტიკურ წარმონაქმნებს შორის, როგორც ჩანს, ერთი ერთიანი ეთნოკულტურული არეალს წარმოადგენდა, რაზეც არაშეზღუდვად წერილობითი წყაროები მეტყველებენ (სამპტომატურაა, რომ VI ს-ში აფშოლების წინამძღოლი ანუ მაგისტროსი დაზი ტერდეტა[19]), არამედ არქეოლოგიური მონაპოვრებიც ადასტურებენ[20]. უფრო მეტიც, უკანასკნელი არქეოლოგიური მონაცემები მოუთხოვენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ერთიანობის აღდგენას VI ს-ის ბოლოდან[21]. თუ გაეთვალისწინებთ იმასაც, რომ ატენის სიონის ფრესკულ წარწერაზე ქართლის ერისმთავარ სტეფანოზი იხსენიება ქართველთა და მგერულთა ერისთავთა უფლად[22], ხოლო „ქართლის ცხოვრებაში“ აშკარადაა მითითებული VII ს-ის ქართლის ერისმთავრის სტეფანოზისა და მისი ვაჟების მირისა და არჩილის უფლებები დასავლეთ საქართველოზე[23], შეგვიძლია ვთქვათ: აღმოსავლეთ საქართველოს მმართველთა ჩარევა დასავლეთ საქართველოს ტახტისათვის ბრძოლაში, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არაბთათვის ქვეყნის გადაცემა ფაქტურად ქართლის ერისმთავრობის უზენაესობის აღიარებას გულისხმობდა[24].

შესაძლოა იგივე მოვლენას ადგილი ჰქონდა VII ს-ის 60-იან წლებშიც, ვერ კიდევ გრიგოლის ზობის პერიოდში, იგი იხსენიება სახელოვან პატრიკოსად და მაგისტრად, ხოლო იბერიის მეფე პატრიკოსად და პრეტორად[25], როგორც ჩანს, ორივეს პატრიკოსის ტიტული ჰქონდათ: რაც შეეხება მაგისტროსობას და პრეტორობას, ისინი საერთოდ თანამდებობების აღმნიშვნელი იყვნენ. პრეტორი ძირითადად უმაღლესი სამოქალაქო თანამდებობის პირს წარმოადგენდა, ხოლო მაგისტროსი ერთ-ერთ უმაღლესი სამხედრო წოდება იყო[26]. ჩვენ არ გვგონია იბერიის და დაზეთის მმართველები ბიზანტიის სახელმწიფო სტრუქტურაში უმაღლეს იერარქულ საფეხურზე მდგარიყვნენ. აქ უფრო ბიზანტიის სამეფო კარის დიპლომატიასთან უნდა გვეკონდუს საქმე მთავარი აქ ისაა, რომ იბერიის მმართველი უფრო მაღალ საფეხურზე მდგომად განიხილება დაზეთის მმართველთან შედარებით და შესაძლოა მის უზენაესადაც, თუნდაც ფორმალურად ევიარაუდოთ. შესაძლოა ამაზევე მეტყველებს იქვე ცნობაში დაცული ერთი ნოჟანსაც ანასტასი თავის ადრენატს სთხოეს, რათა იბერიის მმართველს გამოართვას სარგოქმენდაციო წერილი დაზეთის პატრიკოსისადმი ან დაზეთში ევრამოსელის შემოხვევაში მისადმი გადმოსაწები საბუთები იბერიის მმართველს დაუტოვოს, რაც საკმარისი უნდა ყოფილიყო დაზეთში დატყვევებული ანასტასისათვის. შესაძლოა გრიგოლის მმართველობის პერიოდში, გარკვეული დახმარების სანაცვლოდ იგი იბერიის უზენაესობას აღიარებს, ჩვენი ვარაუდით ქართლის მმართველები ამ პერიოდში (და შესაძლოა უფრო ადრეულ პერიოდებშიც, რასაც ცალკე სტატუსს მიუძღვნით) საკმაოდ აქტიურად ვრეყიან დასავლეთ საქართველოს საქმეებში, რაზეც ის ერთიანი ეთნოკულტურული თვითშეგნებაც უწყობდა ხელს\*, რამაც საბოლოოდ საქართველოს გაერთიანება გამოიწვია.

\* - ერთიანი ეთნოკულტურული თვითშეგნება სულ არ გამორიცხავდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული მცირე ეთნოსების არსებობას, თუმცა როგორც ჩანს, მათი ეთნოგენეზი საერთო ქართველურთან სინთეზში მიმდინარეობდა.



1. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, 1977, 105-106
2. В. Левинадзе, Вислая печать с именем Сергия из Грузии, СА, N4, 1980, გვ 275-281; В. Левинадзе, Л. Хведелидзе, Массовые археологические находки из раскопок Археополиса, Ноქალაქევი არქეოპოლისი, I, 1981, გვ 146-147;
3. История Византии, Т. II, 1967, გვ 63
4. И. Соколова, Об эпиграфике Византийских печатей VIII - IX вв, ВВ, т. 42, 1981, გვ 108-114
5. В. Шандровская, Памятники Византийской сфрагистики в эрмитаже, ВВ, XXIX, 1969, გვ 244-249; И. Соколова, Монеты и печати византийского Херсона, 1983, გვ 70-76
6. თოფანე ჯამთაღმწერელი, გეორგია, ტ IV, ნაკვ I, გვ 105
7. თოდოსი განგრელი, იმავე წიგნში, გვ 49
8. ექ თაყაიშვილი, საისტორიო მასაღანი, ძველი საქართველო, ტომი II, 1913, გვ 28-54
9. პ ინგოროევა, გეორგი შერჩულე, 1954, გვ 192-194; В. Левинадзе, დასახ. ნაშრ, გვ 279-280
10. З. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.) 1959, გვ 76-78
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ II, 1973, გვ 429-430
12. თოდოსი განგრელი, გვ 41-48
13. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, 1980, გვ 54
14. თოდოსი განგრელი, გვ 49
15. თოფანე ჯამთაღმწერელი, გვ 106-114, 115-116
16. В. Левинадзе, Л. Хведелидзе, დასახ. ნაშრ, გვ 146 (სქოლიო)
17. Агафни, О царствовании Юстиниана, 1953, გვ 86-87
18. თოფანე ჯამთაღმწერელი, გვ 115
19. პროკოპი კესარიელი, გეორგია, 2, 1965, გვ 162-163
20. გ. ღორთქიფანიძე, ბიჭვინთის ნაქალაქარი, 1991; დ. ღომიტაშვილი, პ. ღორთქიფანიძე, ნოქალაქევი გამოუღწევი ეწ. "წებელდური" ცულეებისა და დოქების რაობისათვის, ძველის მეგობარი, 2, 1993, გვ 31-33
21. ნ. აფხაზაევა, ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, 1979, გვ 111
22. გ. აბრამიშვილი, სტეფანოს მამფლის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, 1977, გვ 35-36
23. ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ 241
24. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ, გვ 76-77
25. თოდოსი განგრელი, გვ 48
26. Д. Петрушевский, Очерки из истории средневекового общества и государства, 1922, გვ 44; История Византии, т. I, 1967, გვ 138-142



1999 წლის 7 ნოემბერს მოსწავლე ახალგაზდობის რესპუბლიკური სასახლის სარკების დარბაზში, ჩვენი სასიქადელო მეცნიერების აკადემიკოსების: ანდრია აფაქიძის, პარმენ ზაქარაიას, ვახტანგ ბერიძის 85 წლისთავის ოუბილესთან დაკავშირებით მოწვეო ნორჩ ისტორიკოსთა შეხვედრა.

ღვაწდომოსილ მეცნიერებს მიესალმნენ სასახლის აღსაზრდელები. მათ ისაუბრეს მეცნიერთა მიერ განედილი გზის შესახებ, სიტყვით გამოვიდნენ მოსწავდელები: ანა ჯიჭონია, დათო გაბუნია, თამუნა დარბაიშვილი და სხვა. ამ ღონისძიების მთავარი ორგანიზატორი იყო, სასახლის საქართველოს ისტორიის კაბინეტის გამგე ქალბატონი ნელი ქველაძე.

სიტყვეური მილოცების გარდა, მეცნიერებს აგრეთვე მიესალმნენ შემოქმედებითი წრების აღსაზრდელები, ლექსები წაიკითხეს: ნათია ჯოჯუამ, რუსუდან და ნათია მისაშვილებმა, რომლებიც მოამზადა ქედაგოგმა ქალბატონმა ღაურა ანთაძემ ამ ღონისძიებას ამშვენებდა სასახლის ხალხური სიმღერის ანსამბლი „მორანგულა“, რომლის ხელმძღვანელია კულტურის დამსახურებული მოღვაწე ქეთევან შინდაგორიძე და ხალხური საკრავების ანსამბლი, ხელმძღვანელი ღვეან სიხარულიძე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუმრები სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებებიდან მოწვეული სტუმრებიდან ოუბილარებს მიესალმნენ აკადემიკოსი მარიკა ღლორტიფანიძე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კახო ფიცხელაური და ჟურნალ „ქველის მეგობრის“, მთავარი რედაქტორი, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ფონდის თავმჯდომარე პროფესორი ირაკლი ციციშვილი.

სამადლობლო სიტყვით გამოვიდნენ ოუბილარები. შეხვედრამ გულთბილ ეთარებაში ჩაიარა.

### Nokalakevi Secrets

საქართველოს  
არქეოლოგიის  
ინსტიტუტი

Well-known Georgian scholar, academician P.Zakaraia, who has become 85 this year shares his recollections about one of the significant events of his scholarly activity-excavations of Nokalakevi, Capital of Egrisi (Lazika).

The article is focused on various stages of the archaeological research of Nokalakevi.

Nodar Lomouri

### Nokalakevi-Archeopolis and Parmen Zakaraia

Since 1973 an archaeological expedition, up to present headed by acad. Parmen Zakaraia, is conducting research of Nokalakevi-Archeopolis. Studied is not only the 4th-8th cc. capital of Lazika, but it environs, the so called "Nokalakevi land". The author thinks that these large-scale research works are a vivid confirmation of Zakaraia's great contribution to the study of part and development of Georgian science.

Niño Kebuladze, David Lomitashvili

### Whetstones or Stones for testing precious Metals

A group of stone objects was considered to be whetstones in the scholarly literature; one part of these objects is made of black specific stone known as "lidits".

A viewpoint is put forward in the article proposing that object of black stone unearthed in Nokalakevi should not be ascribed to whetstones. Based on the chemical tast of the stone, the authors conclude that these are stones for texturing gold. Emergence of such stones in Kolkheti does to a certain extent outstrip the second, great outburst of goldsmithery.

M. Zamtaradze

### A Tomb with Silver Veneli Unearthed in Nokalakevi.

Hellenistic necropolis unearthed in Nokalakevi comprises lower terrace of the city-site, being represented by jar-graves and pit-graves. A pit-grave №18, considered to be a rich one, was excavated in the land-plot of a private owner. Alongside golden, iron, bronze and ceramic objects, a silver bowl and a plate were also found in the grave. The provenance of these silver objects is not yet clear.

The author proposes that based on the context, shape of the grave, the silver object should be dated to the 4th-2nd cc. BC.

**From the history of Nokalakevi Archaeological expedition**

Every year of the expedition work was marked by significant novelties. Among these special places are occupied by the 5th-6th cc. bath-house discovered in the village Nosiri, Senaki district.

The article is dedicated to this structure.

**Tamila Kapanadze**

**Sepieti Church**

A two-storied three-ailed basilica, with projecting cylindrical apse, dedicated to the Archangel is located in the village Sepieti, Abasha region. Interior of the church is covered by the Late Medieval mural painting. 4 inscriptions - two of them Asomtavruli, and two others Greek - are reserved in the church. Greek inscriptions are dated to the 6th-7th cc., while Asomtavruli owns - to the 15th c.

Stylistic analysis of the monument confirms its affinity to the 5th-6th cc. Churches; accordingly, Sepieti church should be dated to the turn of the 5th c. to 6th c.

**Besik Lortkipanidze, Enriko Kokaia**

**Some Issues of the 7<sup>th</sup>-8<sup>th</sup> cc. Egrisi History Based on Two Object Unearthed in Nokalakevi**

A leaden pendant ring belonging of the Patrikos of Lazika Sergi son of Nebarnugi is unearthed in the city-side Nokalakevi. The authors think that above mentioned Nebarnugi, father of Sergi, should be identified with Barnuki mentioned in Georgian sources; the same Barnuki is named as father of Sergi by the 9th c. Byzantine chronicler Theophanius. The fact that Barnugi is mentioned in Georgian historical sources does show a struggle for the superiority on the country among the representatives of various political units. The same should be indicated by a bronze chandelier unearthed in Nokalakevi, which belonged to a "Evstrati". The authors think that this is most likely to be "Evstati" one of the sons of the Patrikos Mariane, belonging to the Apshileti ruling circles.

**Khatuna Jorbenadze**

**A Meeting of Young Historians with the Scholars**

On 7 November 1999, a meeting of young historians was organized in the great hall of the Youth Palace linked with the 85 jubilee of the academicians Andria Apakidze, Vakhtang Beridze and parmen Zakaraia.

The article gives a brief information on the event.



|                                                                                                                                    |    |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| 1. ეულოჯაუ                                                                                                                         | 3  |
| 2. პარმენ ზაქარაია<br>ნოქალაქეის საიდუმლოებანი                                                                                     | 5  |
| 3. ნოდარ დომოური<br>ნოქალაქეუ-არქეოპოლისი და პარმენ ზაქარაია                                                                       | 10 |
| 4. ნინო ქუბულაძე დაეით დომიტაშვილი<br>სადღესები თუ მფარუასი დითონების სასინგი ქეუბი                                                | 15 |
| 5. მერი ზამთარაძე<br>ნოქალაქეში აღმონჩილი ვერცხლის კურქლიანი სამარხი                                                               | 20 |
| 6. მზია იაშვილი<br>ნოქალაქეის არქეოლოგიური კვადეციის ისტორიიდან                                                                    | 23 |
| 7. თამილა კაპანაძე<br>სეფიეთის კელესია                                                                                             | 25 |
| 8. ბესიკ ღორთიქიფანიძე ქნაიკო კოკია<br>VII-VIII სს. ვგროსის ისტორიის ზოგიერთი საკითხი<br>ნოქალაქეში გამოუღეჩილი ორი ნიეთის მხედეუთ | 29 |
| 9. ხათუნა ჯორბენაძე<br>ნორში ისტორიკოსების შეხევედრა მეცნიერებთან                                                                  | 34 |
| 10. ამოტაკეუბი ინგლისურად                                                                                                          | 35 |

თბილისი, "შავთელის" №7

ტელ. 98 36 31

ფაქსი 98 96 58

ასლბადამდები აპარატურა  
პრინტერები  
ფაქსები  
კომპიუტერები  
საოფისო ავეჯი  
ლიზინგი

**XEROX & HEWLETT PACKARD**

ოფიციალური წარმომადგენელი